საქართველოს ...
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 აგვისტო ხუთშაბათი 2012 №193 (13 799) ფასი 80 თეთრი

## ოლიმპიადა შეაფასეს




11

# გამარჯვება კლასის ხარჯზე

## საქართველომ ლუქსემბურგს 10 კაცით მოუგო



2

## ახალი გუნდი და ძველი ნაცნობი

2-3



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



## გადაწყდა
## ვან პერსი მანჩესტერში!

ლონდონის "არსენალის" ოფიციალური ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიღწეულია შეთანხმება რობინ ვან პერსის "მანჩესტერ იუნაიტედში" ტრანსფერთან დაკავშირებით.

დღეს "მეთოფეთა" 29 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელი მანჩესტერში პირადი კონტრაქტის პირობების შესათანხმებლად და სამედიცინო შემოწმების გასავლელად ჩავა.

## ბაიერნმა ხავი მარტინესი მაინც გადაიბირა

ხმაურიანი ტრანსფერები

5



ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# ასეც ხდება: საქართველომ კლასის ხარჯზე მოიგო

15.08.12. ობერკორნი. 1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **ლუქსემბურგი** | **1** |
| **საქართველო** | **2** |

0:1 მჭედლიძე (2), 0:2 ამისულაშვილი (31), 1:2 იოაპიმი (84. პენ.)

საქართველო: ლორია – გ. კაშია, ხუბუტია, ამისულაშვილი (78. ფოფხაძე), გრიგალავა – კანკავა, კობახიძე (46. ლობჟანიძე) – თარგამაძე (46. დაუშვილი), ანანიძე (68. გურული), ოქრიაშვილი (90. გელაშვილი) – მჭედლიძე (46. სირბილაძე).

სათადარიგოები: რევიშვილი, კვასხვაძე, დევდარიანი, ვაწაძე

გაძევება: კაშია (14)

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირამდე დარჩენილი ბოლო მატჩი მოიგო და ახალი შესარჩევი ციკლის წინ კარგი განწყობა შეიქმნა. საბედნიეროდ, ამჯერად ჩვენს ეროვნულ გუნდს მაჩანჩალასთან აღარ ნაუფორხილებია, თუმცა ლუქსემბურგში იოლად სულაც არ მოუგია და საკმაო ბრძოლა გადახდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ზურაბ ხიზანიშვილი** დააკლდა, რომლის ნაცვლადაც სამკლავური **ჯაბა კანკავამ** მოირგო. ჩვენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში კი განსაკუთრებული სიურპრიზები არ ყოფილა. უცვლელი დარჩა სქემაც, თუმცაღა მეტოქის ფაქტორიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრებმა "პირველი ნომრობა" სცადა.

რაკი პირდაპირი ტელერეპორტაჟი არ ყოფილა, შეხვედრას ინტერნეტით ვადევნეთ თვალი, თუმცა გამოსახულება ხშირად იჭედებოდა და ამიტომაც მატჩის შესახებ სრული წარმოდგენა ვერ შევიქმენით. ზოგადად კი იმის თქმა შეგვიძლია, რომ **თემურ ქეცბაიამ** ამჯერად აშკარად შეტევაზე გააკეთა აქცენტი და სწრაფი გოლით ქართველებმა გამარჯვებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს. **ლევან მჭედლიძემ** ორ მეურვეს აჯობა და საჯარიმოს გარედან ეფექტური გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ თითქოს საქართველოს ნაკრებს სერიოზული დაბრკოლება აღარ ელოდა, მაგრამ არბიტრმა მე-14 წუთზე **გურამ კაშია** ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევა, რამაც სტუმართა ამოცანა გაართულა. ჩვენი გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკმაო დროის განმავლობაში კაცნაკლულობა არ დასტყობია. მეტიც, ქეცბაიას გუნდმა უპირატესობის განმტკიცებაზე ზრუნვა განაგრძო და ეს შეძლო კიდეც – 31-ე წუთზე მჭედლიძემ ბურთი მკერდით დაუგდო **ალექსანდრე ამისულაშვილს**, რომელმაც მეტოქის კარში ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

უქმად არც მასპინძლები ყოფილან და თამაშში ჩართვა **გიორგი ლორიასაც** უხდებოდა, რომელიც მეტოქის რამდენიმე მცდელობას წინ დამაჯერებლად აღუდგა.

მეორე ტაიმში ქეცბაიამ ცვლილებებს მიმართა, თუმცა ამით მისი გუნდის თამაშის ხარისხი დიდად არ გაუარესებულა. გამონაკლისია მატჩის დასკვნითი ნაწილი, როცა რიცხობრივი უპირატესობით ასეთი დაბალი დონის მეტოქემაც კი იხეირა და თერთმეტმეტრიანით ჯერ ანგარიში შეამცირა, შეხვედრის მინურულს კი ქართველთა კართან შტურმისმაგვარი მოაწყო და სტუმრებს საქმის გამარჯვებამდე მისაყვანად დიდი ბრძოლა დასჭირდათ.

არასასიამოვნო იყო მეორე ტაიმის შუანელში მომხდარი ამბავი, როცა საკმაოდ რიგიანად მოთამაშე **ჯანო ანანიძემ** კუნთი დაიჭიმა და შესაცვლელი შეიქნა. იმედია, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ოფიციალურ მატჩებს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს გამარჯვება უდავოდ მნიშვნელოვანი იყო – სხვა რომ არაფერი, მართალია, სუსტ მეტოქესთან, მაგრამ მაინც კაცნაკლულებმა გავიმარჯვეთ იმის თქმა კი მაინც ძნელია, არის თუ არა საქართველოს ნაკრები მზად თუნდაც იმისთვის, რომ შინ ბელარუსს სძლიოს და ესპანეთს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს. ცოტაც მოვითმინოთ და სექტემბრის ოფიციალური მატჩები ყველა შეკითხვას გასცემს პასუხს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



U 21. შესარჩევი ტურნირის მატჩი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასურველი ფერი ახალი გუნდით

## ისევ პასუხისმგებლობა, ისევ დაღლა მეორე ტაიმში...

15.08.12. თბილისი. მ. მესხი. 1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **საქართველო** | **1** |
| **ხორვატია** | **1** |

1:0 სხირტლაძე (20, ძალამიძის პასით), 1:1 კრამარიჩი (37)

| საქართველო 4-3-3 | ხორვატია 4-3-3 |
|---|---|
| ნადირაძე | სლუგა |
| ტყილდიანი | ვრსალკო |
| ს. კვირკველია | ტიჩინოვიჩი |
| მ. კობახიძე | ბედენიჩი |
| თდო გრიგალაშვილი | კელიჩი |
| კვეკვესკირი | ანდრიაშევიჩი |
| ჯილაური | ადემი |
| ჭანტურია | კრამარიჩი |
| ძალამიძე | კოპი |
| პაპავა | ჩაქტაში |
| სხირტლაძე | მაგლიცა |
| მწვრთნელი ა. ჩივაძე | მწვრთნელი ი. შუშაკი |

**საქართველო**

46. კვეკვესკირი - **ჩაფიძე**
71. ძალამიძე - **კოხია**
80. სხირტლაძე - **გაგაშვილი**

სათადარიგოები: ბეგაშვილი, ყაზაიშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი, პარუნაშვილი

**ხორვატია**

57. ანდრიაშევიჩი - **გლავიცა**
63. კოპი - **ზუპარიჩი**
75. მაგლიცა - **ბუდიმირი**

სათადარიგოები: ცოვიჩი, ბრუჩიჩი, მირზლიაკი

გაფრთხილება: ანდრიაშევიჩი(28), ბუდნიჩი(39), პაპავა(45), ადემი (42), კელიჩი (61), ჭანტურია (87)

არბიტრი: ა. აბდულა (უკრაინა)

საქართველოში ფეხბურთი კი უყვართ, მაგრამ არა მგონია, რომ საქართველო საფეხბურთო ქვეყანა იყოს. **ალექსანდრე ჩივაძის** გაწვრთნილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შინ პირველ მატჩს თამაშობდა, მოწინააღმდეგე კი ჩვენი ძველი ნაცნობის, **ივო შუშაკის** ხორვატია იყო - ინტერესი ამანაც ვერ გაალვივა.

თვითონ თამაშს რაც შეეხება, დიდი ვერაფერი გამოდგა. ჩვენი ნაკრებისგან უფრო მეტს ველოდით მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი ახალი შექმნილია. ვერ ვნახეთ ახალგაზრდა ქართველების კარგი ინდივიდუალური თამაში, თორემ გუნდურობისგან ამ ეტაპზე განსაკუთრებული არც არაფერი იყო მოსალოდნელი.

ხორვატიამაც ვერ გაგვაოცა, მომავალი **მანჯუკიჩი** თუ **მოდრიჩი** შუშაკის გუნდში ვერ დავინახეთ.

საქართველო შინ თამაშობდა და შემტევი ფეხბურთი მისთვის თავისებური მოვალეობა იყო. ჩივაძემ ცენტრფორვარდად **დავით სხირტლაძე** გაამწესა. სხირტლაძეს ამ პოზიციაზე "ორპუსშიც" უწევს თამაში, თუმცა უფრო უკან, პლეიმეიკერსა და მეორე ფორვარდს შორის არის მისი საყვარელი ადგილი. **გიორგი ჭანტურიამ** მარჯვენა გარემარბის პოზიცია დაიკავა, "ვიტესშიც" ამ ფუნქციას აკისრებენ ხოლმე, მარცხენაფლანგელად კი **გიორგი პაპავა** მოგვევლინა - არაერთხელ დავსწრებივარ "დინამოს" დუბლების თამაშს და პაპავა ამ პოზიციაზე არ შემინიშნავს. რა თქმა უნდა, მწვრთნელმა უკეთ იცის, ვის რა პოზიცია მიუჩინოს და ექსპერიმენტების უფლებაც აქვს.

მასპინძლებს მალევე შეეძლოთ გოლის გატანა, ხორვატ მცველს ფეხი დაუცდა, სხირტლაძემ ამით კარგად ისარგებლა და **ნიკა ძალამიძეს** გადააწოდა ბურთი, ის კართან ახლოს იყო, თუმცა ამ ეპიზოდიდან ოდენ კუთხურს გამორჩა. ამის შემდეგ **ჯაბა ჯილაურმა** ოციოდე მეტრიდან ქვინტით დაარტყა - ბურთი ხორვატიის მეკარემ მოიგდო ხელებში.

არც სტუმრები დაურჩნენ ვალში მასპინძლებს: **დუიე კოპი** მარცხნიდან შეიჭრა ქართველთა საჯარიმოში , მწვავედ ჩააწოდა კარის გასწვრივ, დასწრებაზე ყველას **ანტონ მაგლიცამ** აჯობა, თუმცა ახლოდან ზუსტად ვერ დაარტყა.

ჩივაძის გუნდს მცირე უპირატესობა მართლა ჰქონდა და ღრიჭოც მოუძებნა ხორვატიის დაცვას - ძალამიძემ ორიგინალური პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა სხირტლაძე და 1:0.

ვინც სტადიონზე მოვიდა, უმეტესობას ალბათ გიორგი ჭანტურიას თამაშის ნახვა აინტერესებდა. მან თავისი საუკეთესო მატჩი ვერ ჩაატარა, თუმცა რამდენჯერმე გამოირჩა მოხდენილი მოძრაობითა და მახვილგონივრული პასით. ჭანტურიას მარჯვენა ფლანგიდან ცაციათი შეჰქონდა ბურთი შუისკენ- მეტწილად ასე ცდილობდა თამაშის გამწვავებას. მან ჯერ პაპავას გადააწოდა ბურთი კარგად - დინამოელმა რიგიანად ვერ დაარტყა. შემდეგ ჭანტურიამ ჩინებული პასი გაუქრა ჯილაურს, რომელმაც მარცხნიდ ხეირიანად ვერ დაასრულა შეტევა.

>> მე-3 გვერდზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-2 გვერდიდან

ხორვატებმა ნელ-ნელა გამოასწორეს თამაში. **ანდრეი კრამარიჩმა** ერთხელ სცადა შორიდან ბედი, მეკარისთვის უხერხული ტრაექტორიით დაარტყა, ისე, რომ **გიორგი ნადირაძეს** სიტუაციის გაკონტროლება გაუჭირდა. ეს თავისებური სიგნალი უნდა ყოფილიყო ჩვენი გუნდისთვის, რადგან კარგად გამოჩნდა, რომ ხორვატთა ათ ნომერს ძალიან სახიფათო დარტყმა ჰქონდა, მაგრამ ასე არ მოხდა: მეორე ცდაზე კრამარიჩმა დაახლოებით 7-8 მეტრი გაისეირნა ბურთიანად, კარგად რომ გაისწორა ბურთი, არც მაშინ მოისურვა ვინმემ მისთვის ხელის შეშლა, ჰოდა კრამარიჩმაც ისეთი დააქუხა, თქვენი მოწონებული - ბურთი ცხრიანში გაახვია.

შესვენების შემდეგ ჩივაძემ მოედანზე ფეხმალი **ლაშა ჩაფიძე** შეუშვა, მარცხენა გარემარბად გაამწესა, პაპავა კი თავის ჩვეულ პოზიციაზე გადაიყვანა. ამასობაში წვიმა წამოვიდა და ხორვატებს თითქოს კარგად მოუხდათო გაგრილება - სტუმრები ჩვენს ნაკრებზე უფრო დინამიკურად ათამაშდნენ, მოძრაობაში და სისწრაფეში არცთუ უმნიშვნელო უპირატესობა მოიპოვეს.

შუშაკის გუნდი ცუდად როდი იყენებდა ფლანგებს, განსაკუთრებით მარჯვენას, საიდანაც არაერთი სახიფათო მომენტი შექმნა. ჩივაძის გუნდს გოლი აღარ გაუშვია, თუმცა ამის შანსი ნამდვილად იყო.

მატჩის ბოლოსკენ უკვე ქართველ ახალგაზრდებს ჰქონდათ საგოლე შესაძლებლობები. ჭანტურიას ბრწყინვალე პასით **კონსტანტინე გაბაშვილი** მარჯვენიდან შეიჭრა ხორვატიის საჯარიმოში, მახვილი კუთხიდან ლამობდა მეკარისთვის ბურთის გადაგდებას, თუმცა ხორვატთა კიპერმა იმარჯვა და მეტოქეს ოდენ კუთხური აკმარა.

ამის მერე იყო ეპიზოდი, როცა ხორვატიის მეკარის და ცენტრალური მცველის, **იგორ ბუდნიჩის** უნიათობით ვერ ვისარგებლეთ - გაბაშვილმა და ჩაფიძემ ერთმანეთს ხელი შეუშალეს.

ეს ფრე ჩვენს ახალგაზრდებს აძლევთ ხელს, შესარჩევის ბოლო ტურში ესტონეთს თუ მოუგეს, მესამე ადგილს ვერავინ შეეცილება.

**მატჩის შემდეგ**

**ივო შუშაკი** : "საქართველომ კარგი, ტექნიკური ფეხბურთი აჩვენა და ვიცოდი, რომ ასეც იქნებოდა. საქართველომ პირველ ტაიმში მეორეზე უკეთესად ითამაშა, თუმცა ჩვენ გვქონდა რამდენიმე საგოლე შანსი პირველ ტაიმში. საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ შედეგით და იმითაც, რომ ჩვენს გუნდს დიდი პოტენციალი აქვს.

ამ სტადიონზე მართლაც ისტორიული მატჩის მონაწილე ვარ. რუსეთთან გამარჯვება ჩემთვისაც ისტორიული იყო და საქართველოსთვისაც. როცა ამ თამაშს ვიხსენებ, დიდ კმაყოფილებას ვგრძნობ, მაშინ ქართველმა ხალხმა გაიხარა და მეც მათთან ერთად ამაყი ვიყავი.

საქართველოში ჩამოსვლის სურვილი ყოველთვის მაქვს, თუ ღმერთი ინებებს, იქნებ აქ ხელმეორედაც ჩამოვიდე სამუშაოდ. საქართველო ჩემს გულშია".

**ალექსანდრე ჩივაძე:** "ამ შემადგენლობით პირველად ვითამაშეთ, ახალ გუნდს ვაშენებთ და ეს ის პროცესია, რომელიც გრძელდება. დღევანდელმა თამაშმა ბევრი რამ დამანახა. ისეთი თამაში იყო, მოგებაც შეიძლებოდა და წაგებაც. ფრე ჩვენთვის მისაღები შედეგია, რადგან ბოლო ტურში ხორვატია სტუმრად თამაშობს ესპანეთთან, ჩვენ კი ესტონეთს ვუმასპინძლებთ.

ხორვატებს ჩვენზე ორი წლით უფროსი ფეხბურთელები ჰყავდათ, ორი წელი კი ახალგაზრდულ ფეხბურთში ცოტა არ არის. თანაც ხორვატები გაცილებით უფრო შეთამაშებულები არიან, მეტწილად ზაგრების "დინამოს" ფეხბურთელები ჰყავთ გუნდში. ჩვენს გუნდში კი ზოგმა დღეს პირველად ითამაშა: გრიგალაშვილმა, კოხიამ...

ფეხბურთელი ნაკრებში რომ მოდის, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს. როცა ფეხბურთელს 90 წუთ თამაში არ შეუძლია, რა ტაქტიკასა და სტრატეგიაზე უნდა ველაპარაკო?! ფეხბურთელების მიმართ არანაირი სანქციები არ იქნება, ესტონეთთან მატჩამდე სამი კვირა დარჩა და იმ ფეხბურთელებს დავეყრდნობით, სისტემატურად რომ თამაშობენ თავიანთ კლუბებში."

**დავით თავართქილაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

---

სავარაუდო ტრანსფერები

# არსენალში ჭანტურია მოსწონთ და ვიზა აფიქრებთ



ნიკა ჭანტურია

უკვე ერთი კვირაა, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ცენტრალური მცველი **ნიკა ჭანტურია** ლონდონის "არსენალის" დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობს.

17 წლის ქართველმა "არსენალის" რეზერვისტებში გუშინ პირველად მოირგო ლონდონური გრანდის ფორმა და "ნორვიჩის" დუბლებთან მეორე ტაიმი ითამაშა.

"შეხვედრას "არსენალის" პირველი გუნდის მთელი სამწვრთნელო შტაბი უყურებდა და ნიკას გამოსვლით ყველა კმაყოფილი დარჩა" - გვითხრა მატჩზე დამსწრე მენეჯერმა **გუგა კაჭახიძემ**.

მისი სიტყვები Younggusblog.co.uk-ის გუშინდელი წერილითაც დასტურდება.

„არსენალი" ქართველ ვარსკვლავს აკვირდება "ლონდონის „არსენალი" ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების ძიებას მთელ მსოფლიოში განაგრძობს – ახლა ლონდონელები ქართველ მცველს, ნიკა ჭანტურიას აკვირდებიან.

მეორე კვირაა, რაც ის „მეთოფეთა" რეზერვისტებთან ვარჯიშობს და სამწვრთნელო შტაბზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მაღალი, ათლეტური აღნაგობის მქონე ტექნიკური მცველი „არსენალის" კლასიკური ფეხბურთელის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და ლონდონში უკვე მოსწონთ.

ჭანტურია მენეჯერების რეკომენდაციით მიიწვიეს, მაგრამ მანამდეც შენიშნეს და უკვე გამოჩნდა პირველი ნიშნები იმისა, რომ მომავლის ფეხბურთელი გახდეს.

კარგი მონაცემები კი გააჩნია, მაგრამ ჭანტურიას აყვანას შრომითი ვიზის არარსებობა ართულებს. ქართველი მცველის საკითხი მომავალ კვირას გადაწყდება".

**მერაბ მამულაშვილი**



# ჯანელიძე რუბინში ისინჯება

"ვიტ ჯორჯიას" კაპიტანსა და ლიდერს, **გიორგი ჯანელიძეს** გორის "დილასთან" მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. როგორც შევიტყვეთ, იგი ყაზანში იმყოფება, სადაც იქაური "რუბინის" პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ახლა "რუბინის" მთავარი მწვრთნელის, **ყურბან ბერდიევის** გადასაწყვეტია, გაუფორმებს თუ არა კონტრაქტს 22 წლის ქართველ ნახევარმცველს.

სულ რამდენიმე დღეში შევიტყობთ, როგორ დასრულდება ჯანელიძის სინჯები. რასაკვირველია, ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში ეს მისი კარიერისთვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ამით "ვიტ ჯორჯიაც" იხეირებს, რომლის შემოსავლის უმთავრეს წყაროსაც სწორედ ტრანსფერები წარმოადგენს.

"რუბინს" ქართველი მკითხველის წინაშე წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ ყაზანელები ბოლო წლებში ორჯერ გახდნენ რუსეთის ჩემპიონები, წინა სეზონში კი რუსეთის თასი მოიპოვეს. გასულ სეზონში "რუბინის" ღირსებას **საბა კვირკველია** იცავდა, უფრო ადრე კი მის შემადგენლობაში **ლაშა სალუქვაძე, დავით კვირკველია** და **ნუკრი რევიშვილი** ასპარეზობდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

ტრანსფერი

# კლიმიაშვილის დილაში!

**ირაკლი კლიმიაშვილი** კარიერას "დილაში" გააგრძელებს. ინფორმაცია გუშინ გვიან შევიტყვეთ და დაგვიდასტურეს კიდეც: 24 წლის ფეხბურთელმა გუშინ გორელებთან ერთად პირველად ივარჯიშა და შესაძლოა, ევროპის ლიგის პლეი ოფში პორტუგალიურ "მარიტიმუსთანაც" ითამაშოს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ლიდერი მცირე ხნის წინ ტაშკენტის „ფახთაკორიდან" წამოვიდა, სადაც მახაჭყალის „ანჟიმ" იჯარით გაუშვა. "ლელოსთან" ინტერვიუში კლიმიაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთის პრემიერლიგის კლუბი იწვევდა, ქართული კლუბების ინტერესი კი უარყო.

მაგრამ გუშინ მოხდა ის, რაც უკვე გამცნეთ – ირაკლი კლიმიაშვილი გორის "დილას" ფეხბურთელი გახდა, რასაც კლუბი უახლოეს დღეებში (შესაძლოა, დღესაც) ოფიციალურად დაადასტურებს.

**მერაბ მამულაშვილი**



ირაკლი კლიმიაშვილი

---

ლეგიონერი

# ყენიას კონფლიქტზე არ უნდა ელაპარაკაო

## ვლადიმერ ბისტროვის ირიბი აღიარება

"ლელოს" მკითხველისთვის ცნობილია ლევან ყენიას ამბავი - 21 წლის პლეიმეიკერმა 14 აგვისტოს ლვოვის „კარპატისთან" ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.



ლევან ყენია

რუსული მედია დღემდე განიხილავს პეტერბურგის „ზენიტში" ყენიას ლამის გადაწყვეტილი ტრანსფერის ჩაშლას და რამდენად მართალია ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც თქვა, რომ "ზენიტის" ხუთმა მოთამაშემ პირი შეკრა და მთავარ მწვრთნელს, **ლუჩანო სპალეტის** მისი გაშვება მოსთხოვა?

აი, რას წერს "სოვეტსკი სპორტი":

"შალკეს" ყოფილი ფეხბურთელი სინჯებზე ჩინებულად გამოიყურებოდა. "რუსთან" საკონტროლო შეხვედრაში ყენიამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რაღაცით იმ არშავინს გვაგონებდა, რომელსაც თამაში სურდა.

არაერთხელ შევეცადეთ იმის გარკვევას, რა გახდა ქართველის გაუჩინარების მიზეზი, მაგრამ კლუბში მხრებს იჩეჩენ, კონტრაქტი არ გაუფორმებია, მხოლოდ გასინჯვაზე იყო, მაგრამ მისი წასვლის მიზეზი არ ვიცითო.

არის ინფორმაცია, რომ ქართველმა ტალანტმა გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშესთან იჩხუბა. ყენია კი ამტკიცებს, რომ ხუთმა მოთამაშემ ხელმძღვანელობას მისი გაშვების თხოვნით მიმართა.

თუ ეს ამბავი მართალია, ეს "ზენიტში" არსებულ ატმოსფეროზე ბევრს მეტყველებს. პირველად არ ვრცელდება ცნობა, რომ "ზენიტში" წამყვან რუს მოთამაშეებს გაცილებით მეტი გავლენა და უფლებები გააჩნიათ, ვიდრე სხვა კლუბების ლიდერებს.

მეორე მხრივ, გაუგებარია, როგორ შეიტყო ყენიამ "ხუთეულის წერილის" შესახებ, თუ ის მართლაც დაიწერა?"

"სოვეტსკი სპორტმა" კომენტარი "ზენიტისა" და რუსეთის ნაკრების ნახევარმცველ **ვლადიმერ ბისტროვსაც** ჩამოართვა და მისი ორაზროვანი და თემიდან გაქცეული პასუხიდან უნდა დავასკვნათ, რომ ყენია მართალს ამბობს: "ძლიერი ფეხბურთელის გადასვლას არც ერთ კლუბში არ შეეწინააღმდეგებიან. ვფიქრობ, მწვრთნელს რომ მოესურვებინა, ფეხბურთელი გუნდში დარჩებოდა. ახალწვეულმა "ზენიტი" უნდა გააძლიეროს, პრესაში რაღაცები კი არ უნდა თქვას".

ანუ, ბისტროვმა არც "ხუთეულის წერილის" არსებობა უარყო და არც ქართველის მიმართ უარყოფითი განწყობა. მაგრამ ეს მისი და კლუბის პრობლემაა.

ყენია ახალგაზრდა და პერსპექტიული ბიჭია. მართალია, ტრავმამ გვარიანად უკან დახია, მაგრამ სამედიცინო შემოწმებამ დაადასტურა, რომ პრობლემები წარსულში დატოვა და სრულიად ჯანმრთელია. ეს გვაიმედებს, რომ ყველაფერი წინ აქვს.

ცხადია, მისი უკეთეს კლუბში ხილვა გვსურდა, მაგრამ ეს ლევანს ჩვენზე მეტად უნდოდა და მკაცრად ნუ განვსჯით - მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და ლვოვის "კარპატიში" ამიტომ გადავიდა. გვჯერა, ყენია უმაღლეს დონეზე აუცილებლად ითამაშებს, "ზენიტი" და ბისტროვი კი თავის ულირს საქციელს ბევრჯერ ინანებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

სავარაუდო ტრანსფერი

# ზესტაფონში რუსი ფორვარდი ვარჯიშობს


დმიტრი ვასილიევი

გერმანელი **პატრიკ მილხრაუმის** შემდეგ, "ზესტაფონში", შესაძლოა, კიდევ ერთი ლეგიონერი ჩაირიცხოს – რამდენიმე დღეა, ფეროელთა შემადგენლობაში 27 წლის რუსი თავდამსხმელი **დმიტრი ვასილიევი** ვარჯიშობს. უახლოეს დღეებში გაირკვევა, გაუფორმებს თუ არა მას "ზესტაფონი" კონტრაქტს.

187 სანტიმეტრი სიმაღლის ვასილიევი სოჭშია დაბადებული და საკმაოდ საინტერესო კარიერა აქვს – რუსეთის პრემიერლიგაში სამარის "კრილია სოვეტოვისა" და მახაჩყალის "ანჟის" შემადგენლობაში უთამაშია. ვასილიევი სოჭის "ჟემჩუჟინას" აღზრდილია, რომლის შემდეგაც იაროსლავლის "შინიკის" ღირსებაც დაუცავს. ბოლოს იგი ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიაში" ასპარეზობდა.

„ტრანსფერმარკტი" ვასილიევის ღირებულებას 100 ათას ევროდ აფასებს, თუმცაღა იგი თავისუფალი აგენტია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი



# სერბეთი და ახალი ზელანდიაც გვეთამაშებიან?

ფუტსალის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრა 4 დეკემბერს გაიმართება. უეფამ კალენდარი უკვე დაამტკიცა და ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ნაკრები პირველი ეტაპის მატჩებს 26-30 იანვარს ჩაატარებს.

საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ ჩვენი ნაკრების მოსამზადებლად თადარიგი აქედანვე დაიჭირა და "ლელო" უკვე წერდა, რომ **ავთანდილ ასათიანის** გუნდი 25 და 26 ოქტომბერს საკონტროლო მატჩებს ლისაბონში პორტუგალიასთან ჩაატარებს. სექტემბერში სპარინგებს გვთავაზობს აფრიკის უძლიერესი ნაკრები ლიბია, რომელიც მზად არის თბილისში გვესტუმროს.

ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივნის, **ბექა კვიციანის** თქმით, საკონტროლო შეხვედრების თაობაზე მოლაპარაკება კიდევ ორ ქვეყანასთან მიმდინარეობს: *"თებერვლის ფანჯარის დროს ბელგრადში ჩვენთან ამხანაგური თამაში სერბეთს სურს. ეს სერბეთის ფეხბურთის ფედერაციის ფუტსალის დეპარტამენტის შეფმა და ფეხბურთის ალმასკომის წევრმა იგორ გაჩიჩმა დამიდასტურა.*

*ამას გარდა, 2013 წლის აპრილში ევროპული ტურნე დაგეგმა ახალი ზელანდიის ფუტსალის ნაკრებმა და ჩვენს გუნდს შესაძლო მეტოქედ განიხილავენ. ცნობისთვის ახალ ზელანდიაში პირველ საფეხურის სკოლებში ფუტსალი როგორც სასწავლო საგანი ისეა შეტანილი".*

ამჟამად ფუტსალის ასოციაციაში საქართველოს ჩემპიონატის სატელევიზიო გაშუქების იმედი აქვთ და მაგალითიც მოჰყავთ: ტელეკომპანია SKY-მ დაასრულა მოლაპარაკება და ხელშეკრულება გააფორმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან ფუტსალის ჩემპიონატის მატჩების პირდაპირ ტელეტრანსლირებაზე, რაც ინგლისური ფუტსალის პოპულარიზაციისთვის გადადგმული უდიდესი ნაბიჯია.

ცხადია, ბრიტანელთა დარ შეთანხმებაზე და მით უფრო, თანხაზე ლაპარაკი საქართველოში ნაადრევია, მაგრამ ჩვენი ფუტსალის შეფებს იმედი აქვთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის ახალ სეზონს რომელიმე ქართული არხი გააშუქებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ლონლაძე პირველ წრეში საუკეთესოა

ლატვიის სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვით ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის (ვირსლიგა) პირველი წრის საუკეთესო მოთამაშედ **მამუკა ლონლაძე** აღიარეს.

შეგახსენებთ, რომ "დაუგავპილსის" თავდამსხმელი საუკეთესო ფეხბურთელად მაისშიც აღიარეს, რაც სულაც არც იყო მოულოდნელი: ქართველმა ლეგიონერმა 5 შეხვედრაში 6-ჯერ მოახერხა თავის გამოჩენა.

22 ტურის შემდეგ ლატვიური კლუბის 26 წლის ქართველი ლეგიონერი ვირსლიგის ბომბარდირთა დავას ლიდერობს: ლონლაძემ 13 ბურთი გაიტანა და უახლოეს მდევარს, იურმალას "სპარტაკის" მოთამაშე **ანტონ ემელინს** 5 გოლით უსწრებს. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ემელინი მცველია.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, ბოლო რამდენიმე მატჩში ლონლაძეს ძირითად შემადგენლობაში თამაში არ დაუწყია და შედეგიანობა მკვეთრად შეამცირა – ბოლო 8 მატჩში (ჩემპიონატსა და ევროთასებზე) მხოლოდ 3-ჯერ გაიტანა.

**მერაბ მამულაშვილი**


მამუკა ლონლაძე

# იბერიამ მოგებით დაიწყო

გუშინ ლვოვში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ფუტსალში, რომელშიც საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი "იბერია სტარი" მონაწილეობს.

**სერჯიო ბენატის** გუნდი უკრაინულ "კარდინალს" დაუპირისპირდა. "იბერიამ" უიღბლოდ დაიწყო და უკვე 38-ე წამზე ბურთი გაუშვა. თუმცა მერე ჩვენებმა კლასი და უპირატესობა გამოავლინეს: **ბრუნო მელოსა** და **ავგუსტოს** გოლებით საქართველოს ჩემპიონმა პირველი ტაიმი 2:1 მოიგო.

მეორე ტაიმში უკრაინელები სტუმრებს პრესინგი დაუპირისპირეს, საკმაოდ შეავიწროვეს და რამდენჯერმე მიზანთან ძალიან ახლოს იყვნენ. მაგრამ საფინალო სასტვენამდე წუთნახევრით ადრე მელომ კიდევ ერთი გოლი გაიტანა, ბოლო წამებზე კი ავგუსტომ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 4:1.

ჩვენი ჯგუფის პირველ შეხვედრაში პოლონურმა "რეკორდმა" უკრაინულ "ლემბერგს" 4:1 მოუგო. ამგვარად, ჯგუფში ქართული და პოლონური კლუბები გალიდერდნენ.

"იბერიას" დანარჩენი თამაშების გრაფიკი ასეთია: 16 აგვისტოს "ლემბერგს" დაუპირისპირდება, 17 აგვისტოს - "რეკორდს", ფინალი კი 18 აგვისტოს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონი შარშანდელი ტურნირის ფინალისტი იყო და მოსკოვის ცსკა-სთან პენალტების სერიაში დამარცხდა.

ამავე დროს, გაირკვა „იბერია სტარის" თამაშების გრაფიკი ჩემპიონთა ლიგის ძირითად ეტაპზე. 5 სექტემბერს „იბერია" საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულს შეხვდება (სავარაუდოდ, ბელგიურ "ანდერლეხტს"), 6 სექტემბერს - ბერძნულ "ათენა 90"-ს, ხოლო 8 სექტემბერს მისი მეტოქე ეტაპის მასპინძელი სლოვენიური "ლიტია" იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**


სერჯიო ბენატი

ჩვენებური უცხოეთში

# დაჩიაში ქართველი გამოჩნდა


ლუკა თათხაშვილი

შარშან, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ზესტაფონისა" და კიშინიოვის "დაჩიას" პირველი მატჩის შემდეგ მომხდარი სკანდალი გემახსოვრებათ: მოლდოვის ჩემპიონმა ნაგება ვერ აიტანა და მასზე პასუხისმგებლობა მთლიანად ქართველ ლეგიონერს, **დავით გამეზარდაშვილს** დააკისრა, შემდგომ კი გამოცდილი მცველი გუნდიდან თამაშის გაყიდვის ბრალდებით გაუშვეს.

ამით აღშფოთებულმა "დაჩიას" ლიდერმა **ლევან კორღალიძემ** გუნდი თავად დატოვა. მას შემდეგ კიშინიოველებმა თქვეს, რომ კლუბში ქართველს აღარ აიყვანდნენ. თუმცა, აზრი მალე შეიცვალეს და ერთწლიანი პაუზის შემდეგ, კიშინიოვურ კლუბში ქართველი ლეგიონერი კვლავ დაიმატეს: მოლდოველებმა 19 წლის მცველი **ლუკა თათხაშვილი** გასინჯეს, განსაჯეს და დატოვეს.

*"უკვე ათი დღეა, კონტრაქტს ხელი მოვაწერე. განაცხადის გაკეთებას კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდება და ამის შემდეგ ვითამაშებ. როგორ მოვხვდი მოლდოვაში? ჩემი თანაგუნდელი იყო თორნიკე სტეფნიაშვილი, რომელიც კიშინიოვის "ზიმბრუში" თამაშობს. ის მოლდოვაში ზამთარში წავიდა, მაგრამ კავშირი გვქონდა და მეუბნებოდა, რომ ძალიან კარგი პირობები იყო. შემდეგ ჩვენმა საერთო მეგობარმა აგენტს დამაკავშირა, რომელმაც თორნიკე წაიყვანა და მან "დაჩიას" ჩემი გასინჯვაც შესთავაზა. აგვისტოს დასაწყისში ჩავედი, რამდენიმე ამხანაგური თამაში ჩავატარე, მთავარ მწვრთნელს მოვეწონე და კონტრაქტიც გავაფორმე. მართალია, ახლა დუბლებში ვარ, მაგრამ ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და მალე იქ თამაშსაც მპირდებიან"* – გვითხრა თათხაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტურის მწვრთნელი

## მერაბ კოჭლაშვილი:



# წარმატებული სტარტი ძალიან მნიშვნელოვანია

**ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური სენსაციით დასრულდა – გორის "დილამ" "ბასაზე" "ვიტ ჯორჯია" მიიღო და 0:1 დამარცხდა. "ლელომ" ტურის მწვრთნელად ვეტერინართა თავკაცი მერაბ კოჭლაშვილი დაასახელა. მას ამ მატჩისა და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ ვესაუბრეთ.**

- უპირველესად, დიდ მადლობას გეტყვით, ტურის საუკეთესო მწვრთნელად დასახელებისა და სიმბოლურ ნაკრებში ჩემი ფეხბურთელების შეყვანისთვის. მინდა აღვნიშნო, რომ "ვიტ ჯორჯიამ" ამ წარმატებას გუნდური სულისკვეთებით მიაღწია და არა რომელიმე კონკრეტული მწვრთნელისა თუ ფეხბურთელის დამსახურებით. ასე რომ, დიდ მადლობას ვუხდი "ვიტ ჯორჯიას" ყველა მოთამაშესა და ჩემს ასისტენტებს, რამაზ სვანაძესა და მეკარეების მწვრთნელ ლევან აბაშიძეს.

**- რა დავალებები მიეცით გუნდს "დილასთან" მატჩის წინ?**

- ევროტურნირის მატჩიდან საქართველოს ჩემპიონატზე გადმორთვა ყოველთვის ძნელია და ვიცოდით, რომ ამ პრობლემის წინაშე "დილაც" დადგებოდა. მეტოქემ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა და ამანაც ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი. ჩემს ფეხბურთელებს მოედნის თითოეული მონაკვეთისთვის ბოლომდე ბრძოლა და სათამაშო დისციპლინის შენარჩუნება დავავალე და მათ ეს ამოცანები კარგად შეასრულეს. ვიცოდით, რომ კონტრშეტევაზე შანსი აუცილებლად მოგვეცემოდა და საბედნიეროდ, ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაგვიშვია. პირველი ტაიმი "დილას" საგრძნობი უპირატესობით წარიმართა და მეტოქემ რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, შესვენების შემდეგ კი "ვიტ ჯორჯიამ" "დილას" ტოლი არაფერში დაუდო და კონტრშეტევებით ანგარიშის გაზრდაც კი შეგვეძლო. წარმატებული სტარტი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მოხარულები ვართ, ჩემპიონატი ასეთი გამარჯვებით რომ დავიწყეთ. "დილას" ევროპული წარმატებით კი ძალიან გახარებული ვარ და მას წინსვლასა და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას ვუსურვებ.

**- "ვიტ ჯორჯიამ" "დილასთან" ხუთი მცველით ითამაშა. ეს სიახლე უშუალოდ ამ კონკრეტულ მეტოქესთან დაპირისპირებისთვის გამოიყენეთ თუ სხვა მატჩებშიც ამ ტაქტიკას მოსინჯავთ?**

- ხუთი მცველით თამაშის ვარიანტი თურქულ შეკრებაზე დავამუშავეთ და ამ კონკრეტულ შეხვედრაში ამან გაგვიმართლა. ტაქტიკას მეტოქის ფაქტორიდან გამომდინარე შევარჩევთ ხოლმე და დროდადრო ხუთი მცველითაც ვითამაშებთ.

**- თურქეთში განვლილ შეკრებას როგორ შეაფასებთ?**

- საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გამოვიდა, რომელმაც საშუალება მოგვცა, სეზონს კარგი კონდიციებით შევხვედროდით. სპარინგ-მატჩები თურქეთის პირველი ლიგის კლუბებთან ჩავატარეთ, რომლებსაც ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ.

**- ახალი სეზონისთვის კონკრეტული ამოცანა თუ გაქვთ დასახული?**

- გვინდა, ჩემპიონატის ექვს საუკეთესო გუნდში მოვხვდეთ. იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს, ეს ამოცანა მიუღწევლად არ მიმაჩნია.

**- რით იქნება "ვიტ ჯორჯია" გამორჩეული ახალ სეზონში?**

- ჩვენ არ ვართ მდიდარი კლუბი, მაგრამ სამაგიეროდ, ვართ ერთი ოჯახი და ერთსულოვნებით შეგვიძლია, ჩვენი სიტყვა ვთქვათ ეროვნულ ჩემპიონატში. ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენი კლუბის აღზრდილია, ისინი ჩემი მეთვალყურეობით დაოსტატდნენ და მთავარი წარმატებები წინ აქვთ. ასეთი ატმოსფერო იმის საშუალებას გვაძლევს, რომ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინოთ და მაღალი ამოცანები დავისახოთ. ჩვენმა ფეხბურთელებმა იციან, რომ შრომა დაუფასდებათ და თუ პროგრესი გააგრძელეს, კარიერის მაღალ დონეზე გაგრძელების შესაძლებლობაც მიეცემათ.

**- ახალი ჩემპიონატის მიმართ როგორი მოლოდინი გაქვთ?**

- იქიდან გამომდინარე, რომ ბევრმა გუნდმა შემადგენლობა გააძლიერა და ამის გამო ნებისმიერი უმაღლესლიგელისთვის წარმატების მიღწევა კიდევ უფრო გაძნელდა, ვიმედოვნებ, რომ ეს ჩემპიონატი წინაზე ერთიორად დაძაბული და საინტერესო გამოვა. მთავარია, მოედნებისა და ინფრასტრუქტურის ხარისხი ცოტა მაინც გამოსწორდეს. ჩემპიონობისთვის არაერთი კლუბი იბრძოლებს, თუმცა მთავარ ფავორიტად "დილა" მიმაჩნია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ცინცხალი ტრანსფერი

# გადაწყდა: ხავი მარტინესი ბაიერნში!

## ფასი: 40 მილიონი ევრო! ესპანელი 10 მილიონს თვითონ იხდის!

გერმანულმა ტაბლოიდმა „ბილდმა" გუშინ, გვიან ღამით გაავრცელა ექსკლუზიური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ესპანეთის ნაკრებისა და ბილბაოს „ატლეტიკის" 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ხავი მარტინესი** კარიერას მიუნხენის „ბაიერნში" გააგრძელებს. ბავარიულ გრანდს ახალგაზრდა, უნიჭიერესი ფეხბურთელის ყიდვა დიდი ხანია უნდა და როგორც ჩანს, რეკორდმაისტერის ქომაგების მოლოდინს ბოლო მოეღო: „ბილდის" ცნობით, „ბაიერნი" ბასკურ კლუბს 40 მილიონი ევროს გადახდაზე დათანხმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხავი მარტინესი, რომელსაც ესპანეთის ნაკრებში 8 მატჩი აქვს ჩატარებული, ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გახდება!



ხავი მარტინესი

### ღირს თუ არა მარტინესი 40 მილიონი?

გერმანელი ექსპერტები ფიქრობენ, რომ ხავი მარტინესში 40 მილიონი ევროს გადახდა გამართლებული ნაბიჯია, რადგან 1.90 მეტრი სიმაღლის მქონე ნახევარმცველი უნიჭიერესი და უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელია, რომელსაც დაცვაშიც შეუძლია თამაში, არის უაღრესად ბრძოლისუნარიანი, აქვს კარგი ტექნიკა და შესანიშნავად თამაშობს თავით.

ხავი მარტინესი „ბილბაოში" 17 წლის ასაკში, „ოსასუნადან" გადავიდა და მაშინ ბასკებს მისი ტრანსფერი 6 მილიონი ევრო დაუჯდათ. დღეს უკვე 23 წლის მარტინესი ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში კი აქამდე არ ათამაშებდნენ. თუმცა ახლა „ფურიაროხაში" გაახალგაზრდავების პროცესი იწყება და **ვისენტე დელ ბოსკემ** არაერთხელ თქვა, რომ მარტინესს მის გეგმებში უმთავრესი როლი აქვს.

ესპანელი „ბაიერნის" თავკაც **იუპ ჰაინკესის** 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში „ექვსიანის" პოზიციაზე, **ბასტიან შვაინშტაიგერის** მეწყვილედ მოიაზრება. აღსანიშნავია, რომ მიუნხენელები ბასკებთან ვაჭრობას ცდილობდნენ, მაგრამ „ბილბაოს" პრეზიდენტმა **ხოსუ ურუტიამ** „ქვა ააგდო, თავი შეუშვირა" და 40 მილიონ ევროს ცენტიც არ დააკლო. რაკი ბავარიელებს მისი ყიდვა ძალიან უნდოდათ, ბოლოს და ბოლოს, ამ თანხის გადახდაზე დათანხმდნენ, თუმცა ესპანურ და გერმანულ პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, ხავი მარტინესი 40 მილიონიდან 10 მილიონს თვითონ, ეტაპობრივად აანაზღაურებს. როგორ? აგიხსნით: ხავი გერმანულ გრანდთან ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და „ბილდის" ცნობით, „ბაიერნის" ხელმძღვანელებს თავიდან შეთანხმებულზე 2 მილიონით ნაკლებ წლიურ ხელფასზე დათანხმდა...

ამრიგად, „ბაიერნმა" ზაფხულის ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი სრულჰყო, რაც ლოგიკურიცაა: ზედიზედ ორ სეზონში უტიტულოდ დარჩენის გამო ბავარიელებს იმიჯი შეელახათ და შესაბამისად, ჯიბეზე ხელი გვარიანად გაიკრეს. გამოდის, რომ საერთო ჯამში რეკორდმაისტერმა ტრანსფერებში დაახლოებით 70 მილიონ ევრომდე დახარჯა. „ბაიერნმა" მანამდე **ჯერდან შაჩირი, კლაუდიო პისარო, მარიო მანჯუკიჩი, დანტე, ტომ შტარკე** და **მიტჩელ ვაიზერი** გადაიბირა.

**გოტფრიდ ლენცი**

● სავარაუდო ტრანსფერი



ვინჩენცო იაკვინტა

### იუვემ ჰამბურგს იაკვინტა შესთავაზა

„ჰამბურგმა" **არტიომ რუდნევსის** სახით იმედისმომცემი თავდამსხმელი იყიდა, მაგრამ რაკი მის გარდა, ჩრდილოგერმანული კლუბის მთავარი მწვრთნელის **ტორსტენ ფინკის** განკარგულებაში წინა ხაზისთვის მხოლოდ **მინ სონი** და **მარკუს ბერგი** არიან, HSV-ს თავკაცი შექმნილ ვითარებას სარისკოდ მიიჩნევს. გაზეთ „ჰამბურგერ აბენდბლატის" ცნობით, კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** ტურინის „იუვენტუსისგან" მიიღო შეთავაზება: „ბებერი ქალბატონი" „ჰამბურგს" 32 წლის თავდამსხმელის, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, **ვინჩენცო იაკვინტას** არენდით აყვანას სთავაზობს. „იუვე" თანახმაა, იაკვინტა გერმანიაში ერთი წლით გაანათხოვროს.

**გოტფრიდ ლენცი**

● ლაციო

# პეტკოვიჩი შეგირდებმა გააბრაზეს

"ლაციო" განაგრძობს ახალი სეზონისთვის მზადებას და გზადაგზა ამხანაგურ შეხვედრებსაც ატარებს. ორიოდე დღის წინ, რომაული კლუბი ბულგარულ "სოფიას" გაეჯიბრა და 0:2-ზე დამარცხდა. გუნდის თამაშით მეტად უკმაყოფილო დარჩა გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვლადიმირ პეტკოვიჩი**, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

"მართალია ეს მხოლოდ ამხანაგური პაექრობა იყო, მაგრამ მარცხმა მაინც ძალიან დამწყვიტა გული. ყველაზე უფრო მეტად იმან გამანაწყენა, რომ ფეხბურთელებმა ჩემი დავალებები ვერ შეასრულეს. პირველ ტაიმში კიდევ არაუშავდა, ორჯერ გოლის გატანაც კი შევძელით, მაგრამ დაიწყო მეორე ნახევარი და ყველაფერი თავდაყირა დადგა. შეგირდებს შეტევაში წასვლისკენ მოვუწოდებდი, მაგრამ რატომღაც მთელი გუნდი საკუთარ ნახევარზე იდგა. შედეგად, დაცვაში ორი უხეში შეცდომა დავუშვით და წავაგეთ. სიმართლე გითხრათ, ამ ყველაფერმა ძალიან გამაბრაზა და შეგირდებთან სერიოზულად დალაპარაკებას ვაპირებ. ძალიან მინდა, რომ ჩემმა გუნდმა შემტევი ფეხბურთი ითამაშოს, ასე კი არაფერი გამოვა. განსაკუთრებით მძიმე ბოლო თხუთმეტი წუთი გამოდგა, როდესაც სულ მთლიანად ავირიეთ და მეტოქეს თამაშის სადავეები გადავეცით. დრო კიდევ გვაქვს იმისთვის, რომ სათამაშო კომპონენტების გაუმჯობესებაზე ვიმუშაოთ და ახალ სეზონს მომზადებულნი შევხვდეთ".

**ლაშა ნიკლაური**



ვლადიმირ პეტკოვიჩი შეგირდთა გარჯით უკმაყოფილოა

ჩელსი

# ლემპარდს ლონდონში დარჩენა სურს




ფრენკ ლემპარდი ჩელსის კარიერის ბოლომდე ერთგულებას ჰპირდება

"ჩელსის" ნახევარმცველს კლუბის ხელმძღვანელობასთან ახალი კონტრაქტის დეტალების განხილვა სურს, რომლის დასრულების შემდეგ ის ფეხბურთიდან წასვლას აპირებს. 34 წლის ფეხბურთელს მოქმედი ხელშეკრულება "ლურჯებთან" ერთი წლის თავზე უმთავრდება.

შემდეგი განცხადება მან "სქაი სპორტსთან" საუბრისას გააკეთა: *"კარიერის დასრულება "ჩელსიში" მინდა. თუმცა იქამდე კიდევ რამდენიმე წელიწადია დარჩენილი, რადგან ვგრძნობ, რომ აქტიურ ფეხბურთში დარჩენა კიდევ შემიძლია. იმედია, კლუბის ხელმძღვანელობაც ამავეს ფიქრობს. ნამდვილად ვერ გეტყვით, რა მოხდება უახლოეს მომავალში, რადგან მოლაპარაკებები წინა სეზონში დავიწყეთ და პროცესის დასრულებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია. საიდუმლო არავისთვის არის, რომ გუნდში ახლა დიდი ცვლილებების პერიოდი დგას. გუნდში მოსულ ახალგაზრდა ფეხბურთელებს შეუძლიათ ჩვენს თამაშში სიახლე შემოიტანონ, თუმცა მეც მაქვს ამბიცია, რომ "ჩელსის" უახლოესი მომავლის ერთ-ერთი თანამონაწილე ვიყო. ისიც მესმის, რომ როცა ფეხბურთელი მეოთხე ათწლეულში შეაბიჯებ, შენდამი დამოკიდებულება რადიკალურად იცვლება. ერთადერთი ძალა რაც მამოძრავებს, არის სიყვარული ფეხბურთის და უშუალოდ "ჩელსის" მიმართ. თუკი მექნება შეგრძნება, რომ გუნდის დახმარება აღარ შემიძლია, მაშინ ფეხბურთის თამაშით სიამოვნებას ველარც მივიღებ და წავალ".*

## ჰათჩინსონი მეტყვეებში

"ჩელსის" 23 წლის უნივერსალი მცველი **სემ ჰათჩინსონი** უკვე 5 წელია, "ლურჯების" რიგებში ირიცხება. 2010 წლამდე ის დუბლების წევრად ითვლებოდა, მას მერე კი ძირითადი გუნდის განაცხადშია. ფეხბურთელმა უზარმაზარი კონკურენციისა და მძიმე ტრავმების გამო აქამდე ვერ მოახერხა თავის დამკვიდრება. შესაბამისად, ნიჭიერი მცველის სამსახურით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. მათ შორის არისს, ჩემპიონშიპის "ნოტინგემ ფორესტი", რომელსაც ქუვეითელი მესაკუთრის გამოჩენის შემდეგ გუნდის გასაძლიერებლად ფული გაუჩნდა.

ნოტინგემელებმა უკვე გადაიბირეს გამოცდილი, პრემიერლიგაში ნათამაშები ფეხბურთელები: **მარლონ ჰეირვუდი, პოლ ანდერსონი, კრის განტერი** და სხვები. "მეტყვეების" სამიზნეში ჰატჩინსონიც მოხვდა. კლუბი მზადაა, ფეხბურთელის ტრანსფერი გამოისყიდოს, უარეს შემთხვევაში კი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმოს. *"როცა ლაპარაკია ძლიერი ხასიათის ფეხბურთელებზე, სემი, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მათგანია. ის "ჩელსის" ფეხბურთელია და სწორედ ლონდონელთა გადასაწყვეტია, ულირთ თუ არა მასთან გამოთხოვება, მაგრამ მისი ღირსებების მქონე მოთამაშის შემადგენლობაში ყოლა სასიამოვნო იქნებოდა. ჯერჯერობით მხოლოდ ნიადაგს ვუსინჯავთ, რამდენად რეალურია ჩვენი განზრახვა,"* – განაცხადა "ნოტინგემის" მენეჯერმა **შონ ოდრისკოლმა.**

**ლევან ბიბილაშვილი**

ინტერი


ეროვნული ბიბლიოთეკა

დუგლას მაიკონი ალბათ "ინტერში" დარჩება

# მაიკონი ევროპის ლიგის განაცხადშია
## ანუ, ინტერში რჩება?

იტალიურ სპორტულ პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ **დუგლას მაიკონი** ისე ახლოსაა მადრიდის "რეალში" გადასვლასთან, როგორც არასდროს... თუმცა, როგორც ჩანს, ამ ზაფხულსაც ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ყოველთვის და 31 წლის მცველი "ინტერში" გააგრძელებს კარიერას. ამაზე ის ფაქტი მოწმობს, რომ **ანდრეა სტრამაჩონიმ** დუგლასი ევროპის ლიგის განაცხადში შეიყვანა; შეგახსენებთ, რომ მილანური გრანდი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას 23 აგვისტოს რუმინულ "ვასლუასთან" გამართავს. ერთი სიტყვით, მაიკონის "ინტერში" დარჩენა პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, არადა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრი მას უკვე "რეალის" ფეხბურთელად მიიჩნევდა. იყო საუბრები დუგლასის ფრანგულ პსჟ-სა და რუსულ "ანჟიში" გადაბარგების შესახებაც, თუმცა ეს ყველაფერი ჭორებად დარჩა - "ინტერის" სპორტული დირექტორის, **მარკო ბრანკას** სიტყვები ამის ნათელი დადასტურებაა:

*"მაიკონთან დაკავშირებით თვით მასიმო მორატიმ გააკეთა განცხადება და თქვა, რომ თუ ვინმეს ბრაზილიელი მცველის გადაბირება სურს, რვა მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს. აქამდე, დუგლასის მსურველი არავინ გამოჩენილა და შესაბამისად, მის შესაძლო გასხვისებაზე საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. მაიკონი "ინტერის' ფეხბურთელია, გუნდთან ერთად ვარჯიშობს და შესაბამისად, ევროპის ლიგის განაცხადშიც მოხვდა – ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ".*

**ლაშა ნიკლაური**

მანჩესტერ სიტი



მანჩესტერ სიტი მსოფლიოში ყველაზე დიდ საწვრთნელ ცენტრს აშენებს

# ქალაქი ქალაქში

"მანჩესტერ სიტი" ახალი საწვრთნელი ბაზის მშენებლობას დიდი ხანია გეგმავს. რასაკვირველია არსებობს პროექტი, რაც "ქალაქელებს" მილიონ ფუნტამდე დაუჯდათ. მანჩესტერის მუნიციპალიტეტმა კლუბს ადგილიც გამოუყო, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ სასურველი ფართის მისაღებად "სიტის" ხელმძღვანელობას ადგილობრივ მიწის წვრილ მესაკუთრეებთან მართებდა მოლაპარაკებები. პროცესი დაიწყო, მაგრამ ის უსაშველოდ გაიწელა, რადგან ერთ-ერთი მესაკუთრე... "მანჩესტერ იუნაიტედის" თავგადაკლული ფანი აღმოჩნდა.

"სიტი" მას საბაზრო ფასზე ბევრად მეტსაც სთავაზობდა, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია. მეტიც, ამ ადამიანს მავნებლური იდეა გაუჩნდა. "იუნაიტედის" ფანებს მან მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის თანაბარ ნაწილებად დაყოფა და ყიდვა შესთავაზა. მიზანი გასაგებია - "სიტის" მოლაპარაკებების პროცესი ასე უფრო გაიწელებოდა. მისდა გასაკვირად ამ ავანტიურაში მხარდამჭერი ვერავინ იპოვა და "სიტის" პირისპირ მარტო დარჩა. ხანგრძლივი და მომაბეზრებელი პროცესის შემდეგ უკანასკნელი წინაღობა უკვე დაძლეულია და მშენებლობის დასაწყებად ყველაფერი მზადაა. ბაზაზე მარტო ნაგებობების საერთო ფართი 3 კვ/კმ იქნება, რასაც მსოფლიოში აქამდე ანალოგი არ ჰქონია.

არქიტექტორები უშუალოდ ბაზის ტერიტორიაზე 7-ათასიანი სტადიონის აშენებას გეგმავენ, ამას გარდა იქნება ათეულობით მოედანი, აღდგენითი ცენტრი, საცხოვრებელი ფართი აკადემიის ფეხბურთელებისთვის და ასე შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ ახალი ბაზა "ეტიჰადის" მეზობლად იქნება. მშენებლობა კლუბს 100 მილიონი ფუნტი დაუჯდება და გეგმის მიხედვით ის 2018 წლისთვის უნდა დასრულდეს.

## აგერი თუ არა გოდინი მაინც

ესპანური "მარკას" ცნობით, "მანჩესტერ სიტის" "ატლეტიკოდან" 26 წლის **დიეგო გოდინის** შეძენა სურს და მზადაა მასში 10 მილიონი ევრო გადაიხადოს. კლუბმა 26 წლის ურუგვაელს ყურადღება მას მერე მიაპყრო, რაც მერსისაიდელი **დანიელ აგერის** ტრანსფერი გაჭიანურდა. "ლივერპული" დღესაც მზადაა ფეხბურთელს შეელიოს, მაგრამ აგერი თავად იკავებს თავს ამ ნაბიჯის გადადგმისგან. ცხადია, რომ გუნდში სადაც **ვენსან კომპანი** და **ჟოლეონ ლესკოტი** თამაშობენ, მას უფრო ხშირად სკამზე ჯდომა ემუქრება. აქვე გეტყვით, რომ "დეილი მეილის" მტკიცებით, **რობერტო მანჩინის** დაჟინებული მოთხოვნით, **ემანუელ ადებაიორი** და **ნაიჯელ დე იონგი** გუნდს უახლოეს დღეებში დატოვებენ. ტოგოელი კარიერას "ტოტენჰემში" განაგრძობს, ჰოლანდიელის მომავალი კი ჯერ ბურუსითაა მოცული.

## ჰოჯსონი როდუელს არჩევანს უწუნებს

21 წლის **ჯეკ როდუელმა** "მანჩესტერ სიტისთან" ხელშეკრულება კვირის დასაწყისში გააფორმა. ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **როი ჰოჯსონი** მეგირდის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა, რადგან ჰგონია, რომ მას "ეტიჰადზე" სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა. *"სიმართლე ძალიან მწარეა, მაგრამ ასეა და ვერაფერს ვიზამ... ნაკრებში უფრო და უფრო ხშირად მომიწევს ისეთი ფეხბურთელების მიწვევა, რომელთაც სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. რაც ყველაზე უცნაურია, მერე ჟურნალისტებთან თავის მართლებაც დამჭირდება და იმის ახსნა, რატომ ვაკეთებ ამას. მაგალითად ჯეკ როდუელი აილეთ და მერე "სიტის" ნახევარმცველებს გადაავლეთ თვალი. ცხადია, რომ ჯეკმა ძალიან იჩქარა, როცა "სიტის" წინადადებას დათანხმდა,"* – განაცხადა ჰოჯსონმა იტალიასთან ამხანაგური მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ფერგი ბედნიერია

ორშაბათს, "მანჩესტერ იუნაიტედის" ექსპერიმენტულმა გუნდმა შოტლანდიაში "აბერდინთან" 1:2 წააგო. სერ **ალექს ფერგიუსონის** თქმით, თამაშის მთავარი მოვლენა 9-თვიანი პაუზის შემდეგ მოედანზე **დარენ ფლეტჩერის** დაბრუნება იყო. 28 წლის შუახაზელს მთელი ეს პერიოდი გასტრიტის მწვავე ფორმა აწუხებდა. *"იმედი გვაქვს, რომ ფლეტჩერისთვის ეს მხოლოდ დასაწყისია. მოედანზე მისი გამოჩენა არ ნიშნავს, რომ უკვე მზად არის. როდისთვის შეძლებს ის ფორმაში ჩადგომას ძნელი სათქმელია. თუმცა იმ დაავადების შემდეგ, რაც ფეხბურთელმა გადაიტანა, ამ ეტაპზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას დამაკმაყოფილებელიც კი ეთქმის. ბედნიერი ვარ, რომ შოტლანდიელმა გულშემატკივარმა მას დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყო. შოტლანდიის ნაკრებში თავდადებული თამაშით მან მსგავსი დამოკიდებულება ნამდვილად დაიმსახურა,"* – თქვა ფერგიუსონმა.

## მუამბა ფეხბურთიდან წავიდა

"ბოლტონის" 24 წლის ნახევარმცველმა **ფაბრის მუამბამ** საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა 17 მარტს ასოციაციის თასზე "ტოტენჰემთან" შეხვედრაში ინფარქტი მიიღო. მისი მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. ექიმებს ფაბრისის გულის ასამუშავებლად დეფიბრილატორის გამოყენება რამდენჯერმე დასჭირდათ. საბედნიეროდ, 5-6-დღიანი კრიზისის შემდეგ მუამბას მდგომარეობა ნელ-ნელა უკეთესობისკენ დაიძრა. აპრილის შუა რიცხვებში ის საავადმყოფოდანაც კი გამოწერეს. მართალია, მას თავად დიდი იმედი ჰქონდა, რომ მკურნალობის სრული კურსის გავლის შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ექიმებმა მას ამაზე ფიქრიც კი აუკრძალეს.

**ლევან ბიბილაშვილი**




ფაბრის მუამბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მილანი

# კაკას დაბრუნების შანსი: 0.001%

## კასანო საკუთარ მომავალზე ღელავს

**"მილანთან" დაკავშირებით იტალიურ სპორტულ პრესაში არაერთი ინფორმაცია ვრცელდება, რომელთა შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ... ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი კაკას შესაძლო დაბრუნებაა, თუმცა ბოლო დღეებში, ანტონიო კასანოს თემამაც წამოიწია წინა პლანზე; ამ ყველაფერზე ქვემოთ დეტალურად...**

### კაკა

ერთი ხანობა, კაკას "მილანში" დაბრუნება პრაქტიკულად გადაწყვეტილი ჩანდა, თუმცა ბოლო დღეებში, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. მილანელებსა და მადრიდელებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და დიდია შანსი, შეთანხმება ვერც შედგეს. მაგალითად, თუ ფიფას აგენტ **ერნესტო ბრონცეტის** დავუჯერებთ, შეთანხმების ალბათობა მხოლოდ 0.001%-ია. ბრონცეტი უბრალო ადამიანი არ გახლავთ, იტალია-ესპანეთის ტრანსფერების ექსპერტად ითვლება და მისი აზრი ნამდვილად ანგარიშგასაწევია – მოვუსმინოთ ფიფას აგენტს:

*"მილანელებსა და მადრიდელებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები საკმაოდ კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ, ჩიხში შევიდა, რაც კაკას ასტრონომიულად მაღალი ხელფასითაა განპირობებული. მადრიდში რიკი 10 მილიონ ევროს იღებს და "მილანში' გადასვლის სანაცვლოდ, მხოლოდ ორი მილიონის დათმობას დაყაბულდა... ლომბარდიელები მზად არიან, კაკას წლიურად მაქსიმუმ 6 მილიონი ევრო გადაუხადონ, მაგრამ ბრაზილიელი შემტევი და მისი აგენტი რვას ფეხს არ უცვლიან. მოლაპარაკება ჩაშლის პირასაა და შეთანხმების ალბათობა მიზერულია, ალბათ 0.001%-დიახ, ეს სამწუხარო რეალობაა, რადგან ბევრის მსგავსად, მეც მსურს კაკა კიდევ ერთხელ ვიხილო "მილანის" მაისურით".*

იტალიელი ჟურნალისტები "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს, **ადრიანო გალიანის** შეეხმიანენ და სწორედ კაკას ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა – აქვე, მისი პასუხი: *"მოლაპარაკება იმაზე შემთხვევაში დავუშვით, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულში შედის. ვნახოთ, უახლოეს მომავალში ალბათ ყველა კითხვას გაეცემა პასუხი".*



ანტონიო კასანოს ცუდი წინათგრძნობა აქვს

*უფრო რთულად მიმდინარეობს, ვიდრე წარმოგვედგინა. ვადასტურებ, რომ მთავარი პრობლემა არა მადრიდის "რეალი", არამედ ფეხბურთელის წლიური ჯამაგირია. იტალიაში დღეს არავის აქვს იმის საშუალება, რომ ფეხბურთელს სეზონურად 8-10 მილიონი ევრო გადაუხადოს – ასეთი გამონაკლისი მხოლოდ ზლატან იბრაჰიმოვიჩის*

### კასანო

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ანტონიო კასანომ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, 'მილანში" ვერაფრით გაიმყარა პოზიციები და პირიქით, კიდევ უფრო გაირთულა ცხოვრება... ყოველ შემთხვევაში, თავად კასანოს ასეთი წინათგრძნობა აქვს და ამას არც ჟურნალისტებთან ურთიერთობისას მალავს:

*"ახალი სეზონისთვის გამალებით ვემზადებით, მაგრამ ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც ვფიქრობდი... თუ ვარჯიშებით და ამხანაგური მატჩებით ვიმსჯელებთ, ჩემი ადგილი გუნდში უბრალოდ არ არის და ეს საკითხი ძალიან მაწუხებს. აშკარაა, რომ მასიმილიანო ალეგრის მონახაზში ვერ ვჯდები, სათადარიგოთა სკამზე ჯდომის სურვილი კი ნამდვილად არ მაქვს. ამ საკითხზე ვცადე მწვრთნელთან დალაპარაკება, მაგრამ სრულიად უშედეგოდ – მასიმილიანომ თემა შეცვალა და პასუხს თავი აარიდა. უახლოეს დღეებში, მწვრთნელს კიდევ ერთხელ დაველაპარაკები და ვნახოთ, რას მეტყვის. ვგრძნობ, რომ კარგ ფორმაში ვარ და სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ვერ შევურიგდები; არის თუ არა ეს ულტიმატუმი? – როგორც გინდათ, ისე გაიგეთ".*

### სავარაუდო შენაძენი

თუ "კორიერე დელო სპორტს" დავუჯერებთ, დიდია შანსი, მომდევნო სეზონიდან "მილანის" ღირსება **ფრანსელინო მათუსალემმა** დაიცვას. გადაწყვეტილი ამბავია, რომ 32 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი "ლაციოს" დატოვებს და კარიერას რომელიმე სხვა გუნდში გააგრძელებს – თავად ფეხბურთელი არ მალავს, რომ სწორედ "მილანში" სურს გადასვლა:

*"არაბეთიდან სარფიანი წინადადება მივიღე, მაგრამ ჩემი სიმპათიები "მილანისკენ" იხრება. ასეთი მასშტაბის გუნდში გადაბარგების შანსი შესაძლოა ერთხელ მოგეცეს ცხოვრებაში და აუცილებლად უნდა გამოიყენო. მოლაპარაკების პროცესი აქტიურ ფაზაშია შესული და მჯერა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება".*

● ფიორენტინა



სტევან იოვეტიჩი

# იოვეტიჩი: შეიძლება წავიდე

**სტევან იოვეტიჩის** "ფიორენტინადან" შესაძლო აბარგების შესახებ ბევრი ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა. თავად ფეხბურთელი აქამდე დუმილს ამჯობინებდა და პრესასთან გამოჩენას ერიდებოდა, გუშინ კი "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*"თუ ჩემს სანაცვლოდ რომელიმე გუნდი სოლიდურ თანხას გადაიხდის, არ არის გამორიცხული, რომ "ფიორენტინა" დავტოვო. მიზეზი მარტივია, "ვიოლას" ფული სჭირდება და ამის შესახებ ანდრეა დელა ვალესთან საუბარში შევიტყვე. პრეზიდენტს არ სურს ჩემი გასხვისება, მაგრამ აშკარაა, რომ სარფიანი წინადადების შემთხვევაში, ეს საკითხი დადგება დღის წესრიგში. ჯერჯერობით, ოფიციალური წინადადებით არავის მოუმართავს, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემით ინგლისური გუნდები არიან დაინტერესებულნი".*

● ინტერვიუ მირკო ვუჩინიჩთან

# მირკო გოლმა დააწყნარა

## ბალკანელი თავის მომავალს იუვეში ხედავს

**გასულ სეზონში, მირკო ვუჩინიჩი "იუვენტუსის" ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალა იყო და შესაბამისად, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობდა. გამომდინარე აქედან, ბევრს გაუკვირდა, როდესაც იტალიის სუპერთასის პაექრობაში, ჩერნოგორიელი ფორვარდი სათადარიგოთა სკამზე დარჩა, "იუვეს" შემტევი ტანდემი კი სებასტიან ჯოვინკომ და ალესანდრო მატრიმ დააკომპლექტეს. მირკო დამატებით დროში გამოჩნდა მოედანზე და გოლიც გაიტანა. იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ძირითადს მიღმა დარჩენამ ვუჩინიჩი ძალიან გაანაწყენა და გუნდიდან წასვლითაც კი დაიმუქრა; ამ ყველაფერზე, ბალკანელი ფორვარდი "ტუტო სპორტისთვის" მიცემულ მინი-ინტერვიუში საუბრობს...**



მირკო ვუჩინიჩი

**- გილოცავთ მორიგ ტროფეის, როგორ აღნიშნეთ იტალიის სუპერთასის მოგება?**

- დიდი მადლობა. ყველანი გახარებულები ვართ, რადგან სეზონის ტიტულის მოგებით დაწყება მართლაც რომ საშური ამბავია. "ნაპოლისთან" რთული ბრძოლა გადავიტანეთ, მაგრამ რაც მთავარია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თანაგუნდელებს, რომლებმაც თავი არ დაზოგეს და შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინეს. ბევრი "ნაპოლის" მიიჩნევდა ფავორიტად, აქაოდა სამხრეთელები ამხანაგურ შეხვედრებში ბრწყინავენო, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, თამაში მაინც ჩვენ მოვიგეთ. ეს იმის მანიშნებელია, რომ გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე გუნდი გვყავს. თანაც, რევანშისტულად ვიყავით განწყობილნი, ჩვენ ხომ იტალიის თასი სწორედ "ნაპოლის" დავუთმეთ.

**- ამბობენ, რომ უკმაყოფილო ხართ ძირითადს მიღმა დარჩენით და გასახდელში სხვა გუნდში გადასვლაზეც კი ჩამოაგდეთ სიტყვა. მართალია?**

- ბედნიერი ვერ ვიქნები იმით, რომ სასტარტო შემადგენლობის მიღმა დავრჩი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვაგან წასვლას ვაპირებ. "იუვენტუსთან" ხელშეკრულება 2016 წლამდე მაკავშირებს და დიდი სურვილი მაქვს, რომ როგორც მინიმუმ, ამ დრომდე სწორედ "ვეკია სენიორაში" ვიასპარეზო. დანარჩენს დრო გვიჩვენებს და ვნახავთ რაც იქნება. უკმაყოფილო ნამდვილად ვიყავი, მაგრამ გოლმა დამაწყნარა და დღეს უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი რიგზეა.

**- როგორც ვიცით, შეთავაზებები არ გაკლიათ...**

- ნამდვილად ასეა და ეს ძალიან მსიამოვნებს. ზოგჯერ ისეთი გუნდიდან ვიღებ შეთავაზებას, რომ მიკვირს კიდეც... მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, ყატარიდან შემეხმიანენ, იქამდე კი ამერიკიდან. წინადადებები ევროპიდანაც მაქვს, ბოლოს "ტოტენჰემის" და "შალკეს" მესვეურები შეეხმიანენ ჩემს აგენტს, მაგრამ უარი მიიღეს. იტალიიდან წასვლას არ ვაპირებ და მინდა ეს ყველამ კარგად იცოდეს.

**- ანუ, შესაძლოა რომ "იუვენტუსიდან" რომელიმე სხვა იტალიურ გუნდში გადახვიდეთ...**

- ჩემი სურვილით "იუვენტუსიდან" წამსვლელი არ ვარ და თუ კლუბი გამასხვისებს, არჩევანს აუცილებლად იტალიურ გუნდზე შევაჩერებ. რაც დრო გადის, ცვლილებებს უფრო და უფრო რთულად ვეგუები, ასე რომ, სხვა ქვეყანასათან ადაპტირების დიდი სურვილი ნამდვილად არ მაქვს. და საერთოდ, ვერ ვხვდები, რატომ ვსაუბრობთ ამ თემაზე, "იუვეში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ; ზოგადად, ეს საკითხი დღეს არააქტუალურია.

**- რას ელით ახალი სეზონისგან?**

- დიდი იმედი მაქვს, რომ "იუვენტუსთან" ერთად არაერთ ტიტულს მოვიგებ და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ამაში ჩემი წვლილიც იქნება. რაც მთავარია, გულშემატკივრები უნდა გავახაროთ, რომლებიც ამას ნამდვილად იმსახურებენ. "ვეკია სენიორას" განსაკუთრებული ტიფოზები ჰყავს და გასულმა სეზონმა ამაში ღრმად დამარწმუნა.

**- ეს ალბათ "რომას" გულშემატკივართა ფარული კრიტიკა იყო, რომლებიც ხშირად გისტვენდნენ...**

- მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ვერ ვხდები რატომ ამითვალწუნეს, "რომას" ტიფოზთა საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. წარმატებებს ვუსურვებ "ჯალოროსის" და იმედია, რომ დედაქალაქური გუნდი არაერთხელ გაახარებს თავის გულშემატკივარს. იმ ადამიანთა კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებსაც წყენის გულში ჩადება შეუძლიათ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

მოსაზრება

# მენოტი: ბლატერი ბეკენბაუერმა უნდა შეცვალოს!

## ლეგენდარული არგენტინელის აზრით ბლატერის ხელში ფეხბურთი საფრთხეშია



სესარ ლუის მენოტი

ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერის** წინააღმდეგ ღვაწლმოსილმა არგენტინელმა მწვრთნელმა **სესარ ლუის მენოტიმაც** გაილაშქრა. მისი აზრით, მსოფლიოს ფეხბურთის მესაჭე აუცილებლად უნდა შეიცვალოს და რაც ყველაზე საინტერესოა, 73 წლის მენოტის ფიფას პრეზიდენტად გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდის, **ფრანც ბეკენბაუერის** ხილვა სურს.

*„დროა, ფიფას პრეზიდენტი შეიცვალოს, რადგან ფაქტია, რომ ბლატერი მოვალეობებს თავს ველარ ართმევს. მას უკვე ზედმეტად ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა და რაც ყველაზე მთავარია, ეს კრიტიკა აბსოლუტურად ლოგიკური და გამართლებულია,* - აცხადებს მენოტი გერმანულ სპორტულ ჟურნალ „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და დასძენს, - *ვფიქრობ, ფიფას პრეზიდენტის რანგში იდეალური ვარიანტი დღესდღეობით ფრანც ბეკენბაუერია. „კაიზერ-ფრანცს" მთელ მსოფლიოში უდიდეს პატივს სცემენ, ყველგან მიღებული და დაფასებული პერსონაა. ბეკენბაუერი წესიერებასა და პატიოსნებასთან ასოცირდება. დარწმუნებული ვარ, რომ ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის და თუ მსოფლიო ფეხბურთის მესაჭე გახდება, არასდროს დაივიწყებს იმას, რომ ერთ დროს თვითონაც ფეხბურთელი იყო."*

მენოტის (და არა მარტო მისი) აზრით, ფეხბურთი ბოლო დროს უკიდურესად დაბინძურდა. არგენტინელი მიიჩნევს, რომ სპორტის ეს სახეობა აუცილებლად და სწრაფად უნდა დაუბრუნდეს ფესვებს: *„დღესდღეობით ფეხბურთი მხოლოდ ბიზნესია, რის გამოც ხიბლს წლიდან წლამდე კარგავს. „ფეხბურთში დიდი ხანია, ინფლაციაა დაწყებული და ამას მალე თუ არ ეშველა, სპორტის ეს გენიალური სახეობა შესაძლოა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს,"* - მიაჩნია მენოტის, რომელმაც არგენტინის ნაკრებს 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა.

### მსოფლიოს ჩემპიონატი ყატარში - ეს კოშმარია!

არგენტინელმა სპეციალისტმა ხსენებულ ინტერვიუში ფიფა ყველაზე მეტად ორი მუნდიალის გამო გააკრიტიკა: *„პირველი ფატალური შეცდომა 2002 წელს იქნა დაშვებული - ვგულისხმობ მსოფლიოს ჩემპიონატის, ამ უდიდესი საფეხბურთო ზეიმის სამხრეთ კორეასა და იაპონიაში ჩატარებას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ იყო შემთხვევითი და გაუაზრებელი შეცდომა. ამით ბევრმა მოითბო ხელი. სულ მალე კი მეორე კოშმარი გველის: მუნდიალი ყატარში, 2022 წელს. ეს იგივეა, ბერლინის სიმფონიურმა ორკესტრმა ბოლივიაში რომ დაუკრას,"* - აცხადებს მენოტი და ფიქრობს, რომ მუნდიალები მსოფლიოს მხოლოდ 9-10 საუკეთესო საფეხბურთო ქვეყანაში უნდა ტარდებოდეს. ასეთებად მას პირველ რიგში არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, ინგლისი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია და ესპანეთი მიაჩნია.

**გოტფრიდ ლენცი**



ფრანც ბეკენბაუერი

---

ამბები



### რენატომ ვარჯიში დაიწყო

ლევერკუზენის „ბაიერის" შემტევმა ნახევარმცველმა **რენატო ავგუსტომ** ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში დაიწყო - ეს ცნობა გუშინ გერმანული კლუბის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გაავრცელა. თუმცა ჯერ კიდევ საკითხავია, მოახერხებს თუ არა ბრაზილიელი შაბათს, გერმანიის თასის პირველი რაუნდის მატჩში (იენის „კარლ ცაისთან") მოედანზე გასვლას. „ლევერკუზენის" ექიმების თქმით, რენატოს მოედანზე გასვლა ჯერ კიდევ სარისკოა.

**გოტფრიდ ლენცი**

### მუტუ აიაჩოში

იტალიური "ჩეზენას" 32 წლის თავდამსხმელმა **ადრიან მუტუმ** ლიგა 1-ის "აიაჩოსთან" კონტრაქტის დეტალები შეათანხმა და კორსიკას უახლოეს დღეებში ეწვევა სამედიცინო შემოწმების გასავლელად. ინფორმაციას ფრანგული კლუბის პრეზიდენტი **ალენ ორსონი** ადასტურებს. რუმინელ ვეტერანს კარიერის განმავლობაში "პარმაში", "ჩელსიში", "იუვენტუსსა" და "ფიორენტინაში" უთამაშია. მან "ჩეზენასთან" ერთად სერია B-ში დაქვეითება არ ისურვა და ახალ გუნდს დიდი ხანია ეძებდა.

**ლევან ბიბილაშვილი**


სტანდარტ დაზღვევა
საქართველო

უპრეცედენტო აქცია
ავტომობილების მფლობელებს!

ავტოდაზღვევა
დღეში 1 ლარად



• ავტოდაზღვევის ყველაზე ხელმისაწვდომი ფასი
• სადაზღვევო პერიოდის თავისუფალი არჩევანი
• გადახდის ყველაზე მოქნილი სისტემა - ანგარისწორება სწრაფი გადახდის ობიექტებში

დაზღვევა რომელიც გიცავთ!

224 15 24 www.standard-insurance.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერადივიზიონი

# მშვიდობა ომის წინ

## რეალი და ბარსა მორიგი მარათონისთვის მზად არიან


ბარსელონა: ლეო მესი, დავიდ ვილია და ხავიერ მასკერანო კარგ ხასიათზე არიან

**მომავალ უქმეებზე ესპანეთის ჩემპიონატი იწყება - საფეხბურთო ევროპა ისევ „ბარსელონას“ და „რეალის“ მარათონის მოლოდინშია. მოსამზადებელი პერიოდი ორივე ესპანური გრანდისთვის ნაყოფიერი იყო, თუმცა მადრიდელთა თავკაც ჟოზე მოურინიოს პრობლემა აქვს, კატალონიელებს კი არაფრის ეშინიათ - არც იმის, რომ პეპ გვარდიოლა „ბარსას“ თავკაცი აღარაა.**

15 დღე, 4 ტესტ-მატჩი, 4 გამარჯვება - „რეალის“ ხელმძღვანელებსა და გულშემატკივრებს თამამად შეუძლიათ იმის თქმა, რომ ამერიკული ტურნე მადრიდული გრანდისთვის წარმატებული გამოვიდა. გასულ უქმეებზე „სამეფო გუნდმა“ უკანასკნელი ამხანაგური შეხვედრაც (2:0 გლაზგოს „სელტიკთან“) მოიგო, ორშაბათ დილას კი „რეალი“ მადრიდში დაბრუნდა.

**ჟოზე მოურინიომ** შეგირდებს ორდღიანი შვებულება მისცა - მადრიდელებმა ვარჯიშები გუშინ განაახლეს და ახლა პირველი ტურის მატჩისთვის (კვირას, „ვალენსიასთან“) ემზადებიან. თუმცა, გუშინ და დღეს ჟოზეს განკარგულებაში ფაქტობრივად მეორე შემადგენლობა იყო - სანაკრებო პაუზამ „რეალს“ 15 ფეხბურთელი წაართვა.

ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელები ფილადელფიიდან პირდაპირ პუერტო რიკოში გაფრინდნენ, სადაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა გუშინ ამხანაგური მატჩი გამართა, ხოლო **კრიშტიანო რონალდომ, პეპემ** და **ფაბიო კოენტრაომ** კი პორტუგალიის ნაკრებთან ერთად პანამასთან იასპარეზეს. **ნური შაჰინი** თურქეთის ნაკრებს ავსტრიასთან ტესტ-მატჩისთვის შეუერთდა, ხოლო **მესუთ იოზილი, სამი ხედირა, გონსალო იგუაინი** და **ანხელ დი მარია** კი გერმანია-არგენტინის ამხანაგური დაპირისპირებისთვის იყვნენ გამოძახებულები.

ჩვენმა ესპანელმა კოლეგებმა კი გამოთვალეს, რომ „რეალის“ ფეხბურთელებს მადრიდში დასაბრუნებლად ჯამში 10 547-კილომეტრიანი მგზავრობა მოუწევთ, რაც „სამეფო გუნდისთვის“ „ვალენსიასთან“ უმნიშვნელოვანესი სასტარტო მატჩის წინ, შეიძლება, სერიოზული პრობლემა იყოს.

### მოდრიჩი მოდის! რას იზამს კაკა?

მადრიდში იციან, რომ ესპანეთის ჩემპიონობის შენარჩუნება რთული იქნება - პირველ რიგში იმიტომ, რომ „ბარსელონა“ უკვე დამშეულია. *„ურთულესი სეზონი გველის, მაგრამ ფაქტია, რომ ახალ სეზონს მომზადებულები ვხვდებით. ტესტ-მატჩებში ყველაფერი ისე იყო, როგორც წარმოგვედგინა. მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილები ვართ. „რეალი“ მანქანაა, რომელიც კარგად ფუნქციონირებს,“* - უთხრა მოურინიოს ასისტენტმა **აიტორ კარანკამ** ჩვენს ესპანელ კოლეგებს „სელტიკთან“ მატჩის შემდეგ.

დღეს-ხვალ წერტილი უნდა დაესვას **ლუკა მოდრიჩის** ტრანსფერს, რომლის შემთხვევაში პრინციპული გადაწყვეტილება მიღებულია. ჩვენი ესპანელი და ინგლისელი კოლეგების ცნობით, „რეალი“ და „ტოტენჰემი“ 32 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ და ხორვატი ნახევარმცველის მადრიდში გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია. თუმცა ტრანსფერი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ დადასტურებულა.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „რეალს“ შაჰინი დატოვებს - თუმცა „რეალი“ მას მხოლოდ გაანათხოვრებს (სავარაუდოდ, ფენერბაჰჩეში). ხოლო მოდრიჩის მოსვლას, ესპანური AS-ის ცნობით, ავტომატურად მოჰყვება **კაკას** წასვლა, რომელსაც „მილანში“ ეპატიჟებიან.

### ბარსელონა მზადაა...

„რეალის“ მოსისხლე მტრის, „ბარსას“ ბანაკში კი ყველაფერი იდეალურადაა - ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ კატალონიური გრანდის ხელმძღვანელები და გარედანაც ასე ჩანს. პსჟ-სთან და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ფრეების (გამარჯვება პენალტების სერიაში) შემდეგ, „ბარსამ“ ბუქარესტის „დინამოსთან“ ტესტ-მატჩი 2:0 მოიგო და კატალონიელთა თავკაცი **ტიტო ვილანოვა** მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილია - სეზონის სტარტს სრულ მზადყოფნაში ვხვდებითო.

„დინამოსთან“ ერთი გოლი **ლიონელ მესიმ** გაიტანა, მერე კი, **ხავიერ მასკერანოსთან** ერთად, არგენტინის ნაკრებს მიაშურა. **ჩავი** და **კარლეს პუიოლი** ესპანეთის ნაკრებს პუერტო რიკოში გაჰყვნენ და „რეალ სოსიედადთან“ მატჩამდე, რომელიც შაბათს შედგება, მათაც რეაბილიტაცია დასჭირდებათ. „ბარსას“ შეღავათი „რეალთან“ შედარებით ის არის, რომ კატალონიელებს მადრიდელებზე გაცილებით იოლი მეტოქე ჰყავთ - „რეალი“ ხომ „ვალენსიას“ ეთამაშება.

### ...ვილიაც!

„ბარსელონაში“ ყველაზე მეტად **დავიდ ვილიას** გამოჯანმრთელება უხარიათ. როგორც იცით, კატალონიელთა გოლეადორმა ლაზარეთში 8 თვე დაჰყო, ახლა სრულ მზადყოფნაშია და „სოსიედადთან“ მოედანზე გასვლა შეუძლია.

*„ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომენატრა ფეხბურთის თამაში. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ უფრო უკეთესი ფეხბურთელი ვიყო, ვიდრე მანამდე ვიყავი - ტრავმის მიღებამდე,“* - უთხრა ვილიამ ჩვენს ესპანელ კოლეგებს. მის არყოფნაში, გასულ სეზონში ლეო მესის ორმაგი პასუხისმგებლობა დაეკისრა და მიუხედავად იმისა, რომ პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, „ბარსელონა“ მაინც ვერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ კატალონიელები დავიდის დაბრუნებით ბედნიერები არიან.

### მოურინიო: ყველანი ტიტულისთვის ვიბრძოლებთ!

ერთი სიტყვით, შაბათს „ბარსელონა“ „რეალზე“ პირველ არაპირდაპირ იერიშს უკვე ფეხბურთს მონატრებულ ვილიასთან ერთად მიიტანს. ერთი რამ ფაქტია: არა მარტო ესპანეთში, არამედ მთელ ევროპაში ეჭვი არავის ეპარება, რომ ესპანეთის ჩემპიონობისთვის წელსაც მხოლოდ „რეალი“ და „ბარსელონა“ იბრძოლებენ.

*„ჩემპიონობის შენარჩუნება აუცილებელია და ზოგადად, რა თქმა უნდა, ყველანი ტიტულის მოსაპოვებლად ვიბრძოლებთ,“* - აცხადებს მოურინიო და ცხადია, რომ ასე ფიქრობს ტიტო ვილანოვაც.

**გოტფრიდ ლენცი**



რეალი: ჩაბი ალონსო, იკერ კასილიასი და ჟოზე მოურინიო ვალენსიასთან მატჩისთვის ემზადებიან

## ამბები

### მალაგამ ვალების ნაწილი გაისტუმრა

"მალაგას" ფინანსურ პრობლემებზე ჩვენს მკითხველს მოეხსენება. სწორედ ამის ბრალია, რომ კლუბმა წამყვანი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი დაკარგა. მაღალი კლასის ახალწვეულების გადაბირებაზე კი არა, კლუბს ფეხბურთელების რამდენიმემილიონიანი სახელფასო დავალიანება აქვს. საბედნიეროდ, კლუბმა დავალიანების ნაწილ-ნაწილ გასტუმრება დაიწყო. ეს კი მას მერე გახდა შესაძლებელი, რაც **ხოსე რონდონსა** და **სანტი კასორლაში** შესაბამისად ყაზანის "რუბინმა" და ლონდონის "არსენალმა" 9 და 19 მილიონი ევრო გადაიხადეს. "მალაგადან" ფეხბურთელების ყიდვა სხვებსაც აქვთ განზრახული. ყველაზე დიდი მოთხოვნა **კარლოს კამენიზე, მარტინ დემიკელისზე, ნაჩო მონრეალზე, ჟერემი ტულალანზე, ისკოსა** და **ხოაკინზეა.**

**ლევან ბიბილაშვილი**

### შაჰინი ფენერში მიდის

"რეალი" და "ფენერბაჰჩე" 23 წლის საყრდენი ნახევარმცველის **ნური შაჰინის** ერთწლიან ტრანსფერზე შეთანხმდნენ. ახალგაზრდა თურქის გადაბირებას "არსენალი" და "ლივერპულიც" გეგმავდნენ. სამეფო გუნდის თავკაცი **ჟოზე მოურინიო** ფეხბურთელს იოლად შეელია. შაჰინი 2011 წლის გერმანიის ჩემპიონ დორტმუნდის "ბორუსიას" ერთ-ერთი ლიდერი იყო. "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლის შემდეგ მან მალე მიიღო სერიოზული ტრავმა, მაგრამ ნება მოგვეცით, მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ის ვერც ხარივით ჯანმრთელი მოახერხებდა **სამი ხედირასა** და **ჩაბი ალონსოსთვის** კონკურენციის გაწევას. "მარკას" მტკიცებით, შაჰინის გაშვება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ "რეალში" **ლუკა მოდრიჩის** გადასვლა მხოლოდ დროის საკითხია.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ლევანტედან უიგანში

2011/12 წლების სეზონში 15 ბურთით "ლევანტეს" საუკეთესო ბომბარდირმა **არუნა კონემ** "უიგანთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელის ტრანსფერი პრემიერლიგის წარმომადგენელს 3 მილიონი ფუნტი დაუჯდა. ივუარელს აქამდე ჰოლანდიაში (პსვ, როდა), ბელგიაში (ლიერსი), გერმანიასა (ჰანოვერი) და ესპანეთში (სევილია, ლევანტე) უთამაშია. ასე რომ, 28-წლის ფეხბურთელისთვის ინგლისი ახალი თავგადასავალია.

**ლევან ბიბილაშვილი**

### მარადონას ფლირტი ჩინელებთან

**დიეგო მარადონამ** ჩინეთში მუშაობის სურვილი გამოთქვა. *„ჩინეთში უდიდესი სიამოვნებით ვიმუშავებდი, რადგან მინდა, რომ ჩინური ფეხბურთის განვითარებაში წვლილი შევიტანო,“* - განუცხადა 51 წლის დიეგომ „ჩაინა დეილის“. მისი ეს განცხადება გუშინ ევროპაში „როიტერსმა“ გაავრცელა. ცნობილია, რომ ჩინეთში სამოგზაუროდ წასული მარადონა იქაური ფეხბურთის ფედერაციის შეფ **ვეი დის** შეხვდა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ მარადონა „ალ ვასლიდან“ გაათავისუფლეს.

**გოტფრიდ ლენცი**

უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ. სამი ჰიიპია

# ფეხბურთი და დიდი ემოცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სამი ჰიიპია "ლივერპულის" ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ. "ენფილდზე" მან მთელი 10 წელიწადი ითამაშა. ფინელის ანგარიშზე ყველა ტურნირში ერთად 400-მდე თამაშია. 2009 წელს მან ლევერკუზენის "ბაიერს" მიაშურა, სადაც 2 წლის მერე დაასრულა კიდეც აქტიური საფეხბურთო კარიერა. ვეტერანი ამ ინტერვიუში ბევრ საინტერესო თემაზე ლაპარაკობს.**

**- სამი, ლივერპულში საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდით. თქვენც ხომ ფიქრობთ, რომ ის ბანდიტური ქალაქია?**

- "ენფილდზე" ახალი გადასული ვიყავი, როცა კრისტიან ციგე, სანდერ ვესტერველდი და მე ერთ-ერთ რესტორანში ვისხედით. შესასვლელი კარიდან რამდენჯერმე სროლის ხმა მოგვესმა. ცოტა არ იყოს შეგვეშინდა. შემდეგ გავიგეთ, რომ რესტორნის დაცვის წევრი ვილაცამ ფეხში დაჭრა.

**- სამაგიეროდ, აქედან მერე ძალიან წყნარ ქალაქში გადახვედით საცხოვრებლად.**

- მართალია, ლევერკუზენი ბევრად უფრო წყნარი ქალაქია, მაგრამ მე იქ მხოლოდ ვარჯიშებსა და თამაშებზე დავდიოდი.

**- ღამის ცხოვრებას თუ შეადარებდით ამ ორ ქალაქში?**

- ღამეული გართობა არასოდეს მიტაცებდა, ასე რომ, მხოლოდ ის მაინტერესებდა, რითაც ჩემი ცხოვრება შედგებოდა.

**- ეს ერთ-ერთი ის მიზეზია, რის გამოც თქვენ პროფესიონალიზმის ეტალონს გიწოდებდნენ?**

- მე მე ვარ. დროდადრო რაღაც საზეიმო ღონისძიებებს კი ვესწრები და რასაკვირველია, ჩაკეტილი ცხოვრებით არ ვცხოვრობ, მაგრამ ჩემს პროფესიას სერიოზულად ვეკიდებოდი. სწორედ მისი სიყვარულის გამო მიწევდა ძალიან ბევრ რამეზე უარის თქმა, რათა გავმხდარიყავი ის, რაც ვიყავი.

**- 30 წელს იყავით გადაცილებული, როცა გაზეთები წერდნენ, ჰიიპიას "ლივერპულმა" სამწვრთნელო შტაბში დასაქმება შესთავაზა, მაგრამ მან უარი თქვაო. ასე იყო?**

- "ლივერპულიდან" იმიტომ წავედი, რომ როგორც ფეხბურთელს, ჯერ კიდევ ბევრი რამ შემეძლო. ისე მიკვირს, რატომ სჯერა ხალხს მასმედიის ასე ბრმად, მით უფრო, როცა ის აშკარა ტყუილებს წერს.

**- ანუ ეს ისტორია მოგონილია...**

- შეიძლება ითქვას, რომ ნახევრად. კლუბთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი, მაგრამ ჩვეულებრივ კონტრაქტზე. შემდეგ გადავწყვიტე, რომ რაღაც შემეცვალა ჩემს ცხოვრებაში და საცხოვრებლად გერმანიაში წავედი.

**- ერთხელ მარკუს ბაბელმა თქვა, რომ 2001 წელს "ლესტერ სიტისთან" წაგების შემდეგ თქვენ თვალცრემლიანს გადაგაწყდათ.**

- ხანდახან ემოციას ვერაფერს უხერხებ. მით უფრო მაშინ, როცა ხვდები, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო შენი გუნდის დახმარება არ შეგიძლია. კიდევ მაშინ, როცა ძალიან ცუდი თამაშით ლალატობ. თუკი გასახდელში ოდესმე მიტირია კიდეც, ამისი არ მრცხვენია. პირიქით, ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ფეხბურთი.

**- 2001 წელს თქვენ გუნდის კაპიტნად აგირჩიეს, მაგრამ მალევე ვიცე-კაპიტნობამდე ჩამოგაქვეითეს, სამკლავური კი სტივ ჯერარდს გადასცეს. ამბობენ, რომ ეს მოხდა თქვენი თამაშის გაუარესების გამო.**

- ისეთი ადამიანი ვარ, ვისაც პირადი წარუმატებლობები მართალია გულთან ახლოს მიჰქონდა, მაგრამ ამაზე არავისთან ლაპარაკობდა. შესაძლოა, ეს პოსტი თავიდანვე არ იყო ჩემთვის განკუთვნილი... თუმცა ფაქტია, რომ კაპიტნობის ჩამორთმევის შემდეგ უკეთ ავთამაშდი.

**- ულიემ ეს გადაწყვეტილება როგორ აგიხსნათ?**

- საღამო ხანს თავის კაბინეტში მიხმო და მოკლედ მომიჭრა, რომ კაპიტანი სტივენ ჯერარდი უნდა გამხდარიყო. მეორე დღეს ვარჯიშამდე სტივი როცა ვნახე, უხერხულობა შევატყვე. მივედი და მხარდაჭერა აღვუთქვი. მწვრთნელთან საუბრის შემდეგ ცოტა ხანი ძალიან გაბრაზებული კი ვიყავი, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ რასაც აკეთებდა, მხოლოდ გუნდის ინტერესებს ემსახურებოდა.

**- მას შემდეგ ასეთი ზეწოლა არასდროს გიგრძნიათ?**

- "ლივერპულს" მაშინ ერთადერთი მიზანი ჰქონდა - გასულიყო მოედანზე და ყველა თამაში მოეგო, ზუსტად ისე, როგორი განწყობითაც გერმანიაში მიუნხენის "ბაიერნი" თამაშობს. დამიჯერეთ, მაშინ სულერთი იყო ჩემთვის კაპიტანი ვიყავი, თუ ჩვეულებრივი ფეხბურთელი.

**- რამე თუ არის გერმანიაში ისეთი, რაც ინგლისში არასოდეს გინახავთ?**

- ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ "ლევერკუზენში" პირველი მატჩის შემდეგ გასახდელში ფეხბურთელებს მატჩის შესახებ სიტყვაც კი არ დასცდენიათ. მათ მშვიდად მიიღეს შხაპი, ჩასხდნენ მანქანებში და სახლებს მიაშურეს. "ლივერპულში" ასე არასოდეს ვიქცეოდით. მეორე შეხვედრის შემდეგ მანუელ ფრიდრიხს გავუზიარე ჩემი გაკვირვება, მან კი მიპასუხა, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დარწმუნებული ვიყავი, დამოკიდებულება რომ შეგვეცვალა ერთმანეთის მიმართ, ყველაფერი სხვანაირად განვითარდებოდა. ჩემი მისვლის შემდეგ მართლა ასე მოხდა. ერთმანეთთან ფეხბურთს ხშირად განვიხილავდით.

**- გერმანიაში არ მოგენატრათ ლივერპულელი ხუმრები, მაგალითად, კარაგერი და კრაუჩი?**

- ასეთები გერმანიაშიც იყვნენ. პატრიკ ჰელმესი გასახდელში ხანდახან წარმოუდგენელ რამეებს სჩადიოდა. თუმცა მოყოლას არ ვაპირებ. ამ სივრცეში რაც ხდება, იქვე რჩება. წესია ასეთი.

**- ახალგაზრდა ფეხბურთელების მხრიდან უფროსებისადმი უპატივცემულობა თუ შეგიმჩნევიათ?**

- მესმის, რომ უფროსებისადმი დამოკიდებულება ყველა ქვეყანაში ერთგვაროვანი არ არის. მე ისეთ ეპოქაში ვიზრდებოდი, როცა მათდამი დაუმორჩილებლობისთვის შეიძლებოდა კარგი გვარიანი ალიყური მიგელო. სულაც არ მგონია, რომ ეს ახალგაზრდების აღზრდის კარგი მეთოდია, მაგრამ... არა, ფაქტია, ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს დამოკიდებულება შეიცვალა.

**ლევან ბიბილაშვილი**



სამი ჰიიპია

ვოლფსბურგი

# გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა!

## მაგათმა დიეგოსკენ და კიაერისკენ მოიხედა





ფელიქს მაგათი დიეგოს და სიმონ კიაერს შეურიგდა

**ამას მართლა ვერავინ იფიქრებდა! ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ 27 წლის ბრაზილიელი გამთამაშებელი დიეგო „ვოლფსბურგში" კარგად მიიღეს და მწვრთნელ-მენეჯერი ფელიქს მაგათი ამრეზით აღარ უყურებს, ამას ახლა ისიც დაემატა, რომ თანაგუნდელებმა „ატლეტიკოდან" დაბრუნებული გამთამაშებელი გუნდის მრჩეველთა საბჭოში აირჩიეს. არადა, დიეგო 2011 წლის მაისში „ვოლფსბურგიდან" სკანდალურად წავიდა - გუნდი უმძიმეს პერიოდში მიატოვა და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საერთოდ დააბრუნებდნენ, ახლა კი „მგლებში" უკვე წონადი სიტყვაც ეთქმის.**

„დიეგო ხვდება, რომ მაშინ შეცდომა დაუშვა და ამას აშკარად ნანობს. უშეცდომო არავინაა და ვფიქრობ, მეორე შანსს ყველა იმსახურებს. მაშინდელი ინციდენტი ჩვენ უკვე დავივიწყეთ," - ეს „ვოლფსბურგის" ნახევარმცველ **აშკან დეჟაგას** სიტყვებია.

მაგათს მაშინ ბრაზილიელის სახელის გაგონებაც არ სურდა და მისი გაყიდვა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ დიეგოში 10 მილიონი ევროს გადახდა არც ერთმა კლუბმა არ ისურვა. ამასობაში დრო გავიდა, ბრაზილიელი გუნდთან ერთად ვარჯიშობდა 59 წლის „დესპოტი ფელიქსიც" იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დიეგო უნდა შეეწყალებინა. ახლა კი, თანაგუნდელებმა ბრაზილიელი ერთ-ერთ ვიცე-კაპიტნადაც კი აირჩიეს. მასთან ერთად, გუნდში სხვა ფეხბურთელებზე მეტი კაპიტან **დიეგო ბენალიოს** (28 წლის), ლიდერ **მარსელ შეფერს** (28), ახალწვეულ **ივიცა ოლიჩს** (32) და ვეტერან საყრდენ ნახევარმცველ **ჟოსუეს** ეთქმით.

### ...და კიაერიც შეიწყალა

დიდი შანსია, რომ დიეგოს შემდეგ ფელიქსი დანიელ ცენტრალურ მცველ **სიმონ კიაერსაც** შეურიგდეს, რომელიც ასევე არ ეხატებოდა გულზე, რის გამოც 23 წლის უკანასკნელმა წინა სეზონი არენდის წესით „რომაში" გაატარა. ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მაგათი დიეგოსთან ერთად კიაერსაც გაყიდდა, მაგრამ ვითარება დანიელი მცველის შემთხვევაშიც შეიცვალა.

„მისი გაყიდვა მართლაც მინდოდა, მაგრამ შესაბამისი წინადადებით არავინ მოგვმართა. სწორედ ამიტომ, სიმონს კიდევ ერთხელ დაველაპარაკე და შემიძლია ვთქვა, რომ მის დატოვებას აღარ გამოვრიცხავ, რადგან მანაც ძალიან მოინდომა," - აცხადებს მაგათი.

სიმონ კიაერი „ვოლფსბურგში" 2010 წელს, „პალერმოდან" გადაბარგდა და მაში „მგლებს" ეს ტრანსფერი 12 მილიონი ევრო დაუჯდათ. იმხანად მაგათი „ვოლფსბურგის" თავკაცი არ იყო და ეს ტრანსფერი მის გარეშე განხორციელდა. „რომაში" თამაშის დროს კიაერმა თქვა, ფელიქს მაგათის სახელისა და გვარის გაგონებაც კი აღარ მინდაო, მაგრამ „ვოლფსბურგის" თავკაცი დანიელ უკანასკნელს ამასაც პატიობს: „არ მაინტერესებს, რა თქვა კიაერმა მაშინ, როცა ჩემს განკარგულებაში არ იყო. ფეხებზე მკიდია, რას ფიქრობს ჩემ შესახებ. მთავარია, გუნდისთვის თავი არ დაზოგოს და თუ არ დაზოგავს, ვათამაშებ კიდეც, რადგან საქმე არც ფელიქს მაგათს ეხება და არც სიმონ კიაერს - მთავარი „ვოლფსბურგია"! - ასეთია „დესპოტ ფელიქსის" აზრი.

### მაგათი ლაკიჩსაც აქებს...

მაგათს 28 წლის ცენტრფორვარდი **სრდიან ლაკიჩიც** ათვალწუნებული ჰყავდა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რადგან „დესპოტი ფელიქსი" ბოლო დროს მასაც აქებს.

„მოსამზადებელ შეკრებაზე ლაკიჩი ძალიან მონდომებული იყო და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სწორ გზას ადგას. ასეთი ლაკიჩი ძალიან მომწონს და მასზე დიდ იმედებს ვამყარებ, - უთხრა მაგათმა „კიკერს" და იქვე დასძინა, - პატრიკ ჰელმესი მალე გამოჯანმრთელდება. გვყავს ოლიჩი და ბრწყინვალე გოლეადორი ბას დოსტიც. შესაბამისად, ახალი ცენტრალური თავდამსხმელის ყიდვაზე აღარ ვფიქრობ."

ალსანიშნავია ისიც, რომ „ვოლფსბურგის" დაცვის ცენტრში უდიდესი კონკურენციაა - ძირითადი შემადგენლობის წევრებად სადღეისოდ ავსტრიელი **ემანუელ პოგატეცი** („ჰანოვერიდან" იყიდეს) და ბრაზილიელი **ნალდო** („ვერდერიდან" შეიძინეს) მიიჩნევიან.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### სიტი VS იუნაიტედი

ვებგვერდ Rightmove.co.uk-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის წყალობით ცნობილი გახდა, რომ მანჩესტერში "სიტის" უფრო ცოტა გულშემატკივარი ჰყავს (14,8%), ვიდრე "იუნაიტედს" (55,6%). არადა სწორედ პირველებს აქვთ პრეტენზია, რომ ნალდ "ქალაქელებს" ისინი წარმოადგენენ. გამოკითხვამ ცხადი გახადა, რომ "წითელი ეშმაკები" მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე პოპულარულები არიან და თქვენ წარმოიდგინეთ, ლონდონშიც კი უფრო მეტი გულშემატკივარი ჰყავთ (13,2%), ვიდრე მთელ რიგ დედაქალაქურ კლუბებს ("იუნაიტედზე" პოპულარული მხოლოდ "ჩელსი" და "არსენალი" არიან). Rightmove.co.uk-ს წარმომადგენლის, **მაიკლ შიპსაიდის** განმარტებით, ბოლო წლებში მსხვილი კლუბების ფანკლუბები განუხრელად იზრდება შედარებით ნაკლებად სახელოვანთა ხარჯზე.

### მირალიაში ევერტონს მიუახლოვდა

გუშინ ვწერდით, რომ ბელგიის ნაკრებისა და პირეოსის "ოლიმპიაკოსის" 24 წლის თავდამსხმელი **კევინ მირალიაში** ოცნებობს "არსენალში" კარიერის გაგრძელებაზე. ფეხბურთელის ოცნება ერთია და ბრიტანული გაზეთების ცნობით, მის შეძენასთან ყველაზე ახლოს "ევერტონია". "ლურჯები" მზად არიან, ბერძნებს 6 მილიონი ფუნტი გადაუხადონ. "დეილი მეილის" ცნობით, ჰოლანდიისა და ბელგიის ამხანაგური შეხვედრის შემდეგ (მატჩი გუშინ ღამით შედგა) ის პირდაპირ ლივერპულში აპირებდა გამგზავრებას და სამედიცინო შემოწმების გავლას.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონი 2012. შემაჯამებელი პრესკონფერენცია სეოკ-ში



# ოლიმპიურში ოლიმპიადა შეაჯამეს

**გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში ლონდონის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა. მას სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი უძღვებოდა და ესწრებოდნენ თამაშების მედალოსნები, ძიუდოსა და ჭიდაობის ფედერაციების პრეზიდენტები - გიორგი ალექსიძე და კახა გენაძე.**

ვიდრე პრესკონფერენციის მთავარ საკითხებზე გადავალთ, წინასწარ გეტყვით, რომ **გია ნაცვლიშვილმა** მთავარი ამბები სწორედ ძიუდოს ფედერაციასთან დაკავშირებით გვამცნო - ალექსიძე პოსტიდან მიდის და ახალ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს; პოსტს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პეტერ ზაიზენბახერიც** ტოვებს, რომელიც წუხელ უკვე გაფრინდებოდა თბილისიდან, თუმცა დაზუსტებით ვერ გავარკვიეთ, დროებით წავიდა თუ - საერთოდ. ყოველ შემთხვევაში, ვერ მივიღეთ გარკვეული პასუხი კითხვაზე, ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა დაუკავშირდება თუ არა მას ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად. ეს ახალი პრეზიდენტის კომპეტენციააო, გვიპასუხეს.

პრესკონფერენცია ნაცვლიშვილმა გახსნა, რომელმაც ფართოდ მიმოიხილა ოლიმპიადის პერიპეტიები და ჩვენი გუნდის გამოსვლას ასეთი შეფასება მისცა: *„ჩემი შეფასებით, ეს ოლიმპიადა იყო კარგი და ხუთბალიანი სისტემიდან მას ოთხიანით შევაფასებ. ჩვენ წასვლამდე 7-8 მედალს ვგეგმავდით. რაოდენობრივად ჩვენი პროგნოზი გამართლდა, თუმცა 1-2 ოქროს ვვარაუდობდით, ამ მხრივ კი ვერ გავამართლეთ. ყველაზე კარგი ისაა, რომ ამ ახალგაზრდულ ნაკრებს შემდგომი ოლიმპიადისთვის უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. მჯერა, რომ ამათი 80 პროცენტი რიო დე ჟანეიროს თამაშებშიც მოხვდება, ცხადია, იმ კონკურენციას თუ გაივლიან, რაც უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ქართულ სპორტში გაჩნდება".*

ნაცვლიშვილი სპორტის გეოგრაფიის შემცირებასაც შეეხო და ამ კუთხით მდგომარეობის გამოსასწორებლად გადასადგმელ აუცილებელ ნაბიჯებზე ისაუბრა. მოგეხსენებათ, ამჯერად შვიდივე მედალი საჭიდაო სახეობებზე მოდის, კრივი, ძალოსნობა, ტყვიის სროლა, სადაც ბოლო პერიოდში ოლიმპიადებზე მედლები გვქონდა, ამჯერად ჩამორჩნენ, ხოლო სხვა სახეობებზე არცაა ლაპარაკი. ნაცვლიშვილმა იმათზეც ილაპარაკა, ვისაც უახლოეს თამაშებზე წარმატებით გამოსვლა შეუძლია. *„ჭიდაობაში მოპოვებული მედლები კარგია, მაგრამ ოლიმპიადებზე თუ მასშტაბური წარმატება გვინდა, მაშინ სხვა სახეობებიც უნდა წამოვწიოთ. საჭიდაო სახეობებში ამჯერად 21-დან 7 მედალი ავიღეთ... ჰა-ჰა, მაქსიმუმ 10 ავიღოთ, რაც საერთო გუნდურ ჩათვლაში დიდად ვერ წაგვწევს წინ. ამიტომ საჭიროა სხვა სახეობების წამოწევაც. დარწმუნებული ვარ, რიო დე ჟანეიროში ძალიან კარგი გუნდი გვეყოლება ძალოსნობაში, ვაჟთა ფარიკაობაში, მშვილდოსნობაში, განსაკუთრებით - ვაჟებში. ჩემთვის აღმოჩენა იყო მათი კარგი გამოსვლა სალიცენზიო ტურნირში. სიმართლე გითხრათ, ასაკის გამო მშვილდოსან ქალთა ნაკრები უფრო მაფიქრებს... სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი მძლეოსნობაში, რათა 1-2 კაცი მაინც გვყავდეს მედლებისთვის მებრძოლი. ახლა კარგი შედეგი იყო 4 საგ ზური, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ მონაწილეობა იყო და არ ვფიქრობდით მედლებზე, მაგრამ მომავალში ამაზეც უნდა ვიფიქროთ. ძალიან კარგი ახალგაზრდაა ცურვაში ირაკლი ბოლქვაძე, კმაყოფილი ვარ მისი გამოსვლით. შეიძლება ის ბევრად ჩამორჩა პრიზიორებს, მაგრამ მისი ასაკიდან გამომდინარე, ძალიან კარგად გამოვიდა. შემდეგ ოლიმპიადაზე პერსპექტივას ვხედავ გუნდურ სახეობებში და საამისოდ ბევრი უნდა ვიმუშაოთ. წლეულსაც ვფიქრობდით წყალბურთზე და ბევრიც ვიწვალეთ, მაგრამ წავაგეთ იმ გუნდებთან, რომლებიც საუკეთესო ევროპულ შვიდეულში მოხვდნენ - რუმინეთთან და საბერძნეთთან. თუმცა შემდეგი ციკლის დიდი იმედი მაქვს, რადგან ძალიან კარგი ახალი თაობა მოდის. მეტი უნდა ვიმუშაოთ კალათბურთზე. ამ გუნდის წევრთა ბირთვი რამდენიმე წლის შეთამაშებულია და იქ 3-4 ისეთია, რომლებიც მზად არიან ნბა-ს დონეზე სათამაშოდ. შესაძლებელია, ამ გუნდმა იბრძოლოს რიოში მოსახვედრად. ამის კარგი შანსი აქვთ ფეხბურთელებსაც, ოღონდ იქ თუ მოვახერხებთ, რომ ახალგაზრდულიდან წარმატებით გადავიდნენ უფროსებში. 17-წლამდელთა წლევანდელი კარგი გამოსვლა მოგეხსენებათ და სწორედ მათ უწევთ რიოს ოლიმპიადაზე მოსახვედრად ბრძოლა. ამ თაობას არ ექნება ის ფსიქოლოგიური ბარიერი, რაც ადრე ახასიათებდათ ჩვენებს. ბუნებრივია, რიოში წასვლის კანდიდატად განვიხილავთ შვიდკაცა რაგბისაც, ოღონდ გავითვალისწინოთ, რომ ეს არაა დიდი რაგბი, ეს სულ სხვა სპეციფიკაა. ის დიდი რაგბი რომ იყოს, მაშინ თამამად დავიბევებდით ადგილს, შვიდკაცას კი დიდი მუშაობა მოუწევს".*

## ძიუდო - საგანი პრესკონფერენციის მღელვარებისა

ამის შემდეგ ნაცვლიშვილმა ძიუდოსა და მოჭიდავეთა ნაკრებების გამოსვლა შეაფასა. მან სინანული გამოხატა ჭიდაობაში მსაჯთა მიკერძოების გამო, რამაც მედლები დაგვაკლო როგორც ხარისხობრივად, ისე - რაოდენობრივად. ისაუბრა ვლადიმერ ხინჩეგაშვილის შეხვედრის მსაჯთა დასჯაზეც და იქვე ქებით მოიხსენია თავად სპორტსმენი, რომელმაც სალი, მართლაც პროფესიული მიდგომა გამოავლინა და არბიტრთა მიკერძოების მიუხედავად, წაგებაში მაინც თავი დაიდანაშაულა, უკეთ უნდა მეჭიდავაო.

დიდი დრო პრესკონფერენციაზე ძიუდოს ნაკრებს, მის გამოსვლას და ზაიზენბახერის კონტრაქტს დაეთმო. ნაცვლიშვილმა წონების მიხედვით შეადარა ამ გუნდის გამოსვლა პეკინისა და ლონდონის ოლიმპიადებზე და აღნიშნა, იქ მოპოვებული ერთი ოქრო თუ წარმატებაა, მაშინ ახლანდელიც წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო თუ ის წარუმატებლობა იყო, მაშინ ამასაც წარუმატებლობა ვუწოდოთო. ძიუდოს საქმეებში კარგად ჩახედულმა ნაცვლიშვილმა იცის, რომ პეკინში კიდევ ორმა მესამე ადგილისთვის იჭიდავა და აღნიშნა, მეხუთე ადგილი არავის ახსოვს, მთავარი მედალიაო! ბრინჯაოსთვის ჭიდაობა თუ წარუმატებლობაა და არც გუნდის სტაბილურობას განსაზღვრავს, მაშინ მთელი გუნდის მეორე წრიდან გამოვარდნა რატომ უნდა მივიჩნიოთ წარმატებად? გაგვაკვირვა მიდგომამ იმასთან დაკავშირებითაც, რომ თურმე პეკინში მაშინდელი წესებით უფრო ადვილი იყო სანუგეშო წრეში გადასვლა და ახლაც რომ იგივე წეს-კანონები ყოფილიყო, რამდენიმე კიდეც გადავიდოდაო. წესებს იქით უნდა მოვერგოთ, თორემ ჩვენი გულისთვის არავინ შეცვლის, ხოლო სანუგეშოში გადასვლა უცხოელებისთვისაც ისევე იყო გართულებული, როგორც - ქართველებისთვის. თუმცა მთავარი კითხვა შემდეგია - ლონდონში ნაჩვენები ჭიდაობით რამდენი გაივლიდა დამამშვიდებლის ფინალამდე გზას და რამდენი მივიდოდა ბრინჯაოს მედლამდე საჭიდაოდ?


ოლიმპიადის გმირი ლაშა შავდათუაშვილი

შეხვედრის დიდი ნაწილი **ბეთქილ შუკვანის** გახმაურებულ სკანდალსაც შეეხო, თუმცა ამ თემაზე ძირითადად არასპორტული მედია აქტიურობდა. მოკლედ ვიტყვით - ნაცვლიშვილმაც და დელეგაციის სხვა წევრებმაც კატეგორიულად გამორიცხეს სპორტსმენის წინააღდეგ მომხდარი ინციდენტი თვითმფრინავშიც და ოლიმპიურ სოფელშიც. მათ ეს ფაქტი პოლიტიკური ანგაჟირებით ახსნეს.

ზაიზენბახერის მუშაობა სეოკ-ის პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა, რადგან მათი პროგრამა-მაქსიმუმი ოქროს მედალი იყო. მით უფრო, საამისოდ მეტად მცირე დრო ჰქონდათ და ფორს-მაჟორში უწევდათ მუშაობა. ნაცვლიშვილმა ამით ახსნა ის ხისტი, ლამის სამხედრო მიდგომა, ვინც ზაიზენბახერის გეგმას ვერ გაუძლებს, სახლში გავუშვებთო. ავსტრიელის გუნდში დარჩენასთან დაკავშირებით ნაცვლიშვილმა კონკრეტულად ვერაფერი გვითხრა, თუმცა ისაუბრა ფედერაციებში, ზოგადად - ქართულ სპორტში გასატარებელ მართვის რეფორმებზე. მაგალითად, ძიუდოს ცენტრები თბილისის გარდა რეგიონებშიც უნდა არსებობდეს, სადაც ამის ტრადიციებია; მთავარი მწვრთნელი დამოუკიდებელი უნდა იყოს; პრემიებს მწვრთნელი არ უნდა ანაწილებდეს, ეს კანონით უნდა იყოს გაწერილი და ასე შემდეგ, ოღონდ საკითხავია - ამის გაკეთება უცხოელის გარეშე არ შეიძლება? განა კანონი ვინ უნდა მიიღოს? ნაცვლიშვილმა მადლობა გადაუხადა ზაიზენბახერს გაწეული სამუშაოსთვის, თუმცა იქვე ნაკრებისთვის მოსალოდნელ საფრთხეებზეც ილაპარაკა - არ უნდა მოხდეს განხეთქილება, დაპირისპირება და ასე შემდეგ...

სეოკ-ის პრეზიდენტი **ირაკლი ცირეკიძის** საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ოლიმპიადაზე მისი წასვლა ერჩივნა, რადგან მედლის კანდიდატად განიხილავდა. მით უფრო - იმ კენჭისყრაში, თუმცა დაგმო წინასწარი შეთანხმება მასა და **ლომერ ჟორჟოლიანს** შორის, თუ ვინ უნდა წასულიყო ოლიმპიადაზე. თამაშებამდე მცირე ხნით ადრე ორივეს დისკვალიფიკაციას ვერ მივცემდი, რადგან ამით ლიცენზიას ვკარგავდით და ამას ვერც ხალხი გაიგებდაო, აღნიშნა ნაცვლიშვილმა.

**ირაკლი თავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# დუბაის თასზე - მეორე ადგილი


მარცხნიდან - სოფიკო ხუხაშვილი და სოფიკო ტერელაძე

არაბეთის გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ დუბაის თასზე ელვისებურ ჭადრაკში სხვადასხვა ქვეყნის სამკაცა 31 გუნდი (2 ძირითადი + 1 სათადარიგო) მონაწილეობდა. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დიდოსტატი **სოფიკო ხუხაშვილი** და მისი სეხნია - საერთაშორისო ოსტატი **სოფიკო ტერელაძე** იცავდნენ. შვეიცარიული სისტემით გამართული 9 ტურის შემდეგ 16 ქულით პირველ ადგილზე ეგვიპტელი ფუად ტაჰერით (რეიტინგი - 2483), იემენელი ბაშერ ქუდაიმითა (2395) და სირიელი ტალალ ჰილვანით (2274) დაკომპლექტებული გუნდი „არაბ უნიტი" გავიდა. გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩა „გეორგია" (ხუხაშვილი - 2396, ტერელაძე - 2183), რომელიც მეორე ადგილზე გავიდა. 13 ქულით, მაგრამ უარესი დამატებითი მაჩვენებლებით მესამე ადგილი მასპინძელთა „დუბაიმ" (ომარ ნომანა - 2322, იშაქ საედი - 2225) დაიკავა.

# ერთი ნაბიჯის ფასი

## მერი არაბიძე მედალოსნებს ნახევარი ქულით ჩამორჩა

ექვსი მოგება, ამდენივე ყაიმი და ერთი მარცხი - ასეთი მაჩვენებლებით დაასრულა ათენში 20-წლიან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ქუთაისელმა საერთაშორისო ოსტატმა **მერი არაბიძემ.** გუშინ ბოლო ტურში მან შავი ფიგურებით უნგრელ კლარა ვარგას სძლია და 13 შესაძლებლიდან 9 ქულას მოუყარა თავი. 9,5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა ჩინელმა **გუო ქიმ**. გუშინ იგი აზერბაიჯანელ ხაიალა აბდულას დაუზავდა. ასევე, 9,5-9,5 ქულას მოუყარეს თავი **ნასტასია ზიაზიულკინამ** (ბელარუსი), **ანასტასია ბოდნარუკმა** (რუსეთი) და აულია ვარდა მედინამ (ინდონეზია), რომლებმაც, შესაბამისად, კლაუდია კულონი (პოლონეთი), საბინა იბრაჰიმოვა (აზერბაიჯანი) და ირინა ბულმაგა (რუმინეთი) დაამარცხეს. უკეთესი კოეფიციენტით მეორე-მეოთხე ადგილები, სწორედ, ზიაზიულკინამ, ბოდნარუკმა და მედინამ გაინაწილეს. ოცწლიანებში შარშანდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა დეიზი კორიმ (პერუ), რომელმაც ორი ტურის წინათ მერი არაბიძეს აჯობა, გუშინ თეთრი ფიგურებით ჩინელ ვან იუესთან წააგო და მე-6 ადგილს დასჯერდა. მე-5 ადგილი 18-წლიანებში შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონ მერი არაბიძეს ერგო.


ნანი უნაფქოშვილი

გუშინ **ნანი უნაფქოშვილი** თეთრი ფიგურებით ინდოელ ფურტადო მარია ივანას დაუზავდა და 7 ქულით 28-ე ადგილი დაიკავა. მეოთხე-მეექვსე ტურებში ნანის ზედიზედ სამი პარტია რომ არ წაეგო, პირველ ათეულში დაიმკვიდრებდა ადგილს. მით უმეტეს, რომ კარგი ფინიში ჰქონდა - ბოლო ხუთი შესაძლებლიდან 4 ქულა აიღო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ოცწლიანების მსოფლიოს პირველობა მისთვის კარგი მოთელვა და გამოცდილების მისაღები შეჯიბრება იყო 18-წლიანების ევროპის პირველობის წინ, რომელშიც უნაფქოშვილი დღეიდან ჩეხეთის დედაქალაქში ჩაებმება. პრაღაშივე იასპარეზებს **შალვა ნადირაშვილი,** რომელმაც ოცწლიანთა ჩემპიონატი 13 შესაძლებლიდან 6 ქულით დაასრულა და 79-ე ადგილი დაიკავა (**დიმიტრი კვარაცხელია** 5,5 ქულით 95-ე ადგილს დაჯაბულდა). ვაჟთა ტურნირი 10-10 ქულით დაამთავრეს ალექსანდრ იპატოვმა (თურქეთი) და რიჩარდ რაპორტმა (უნგრეთი), რომლებიც ბოლო ტურში შესაბამისად, ალექსანდრ შიმანოვსა (რუსეთი) და დინ ლირენს (ჩინეთი) შეუთანხმდნენ ყაიმზე. იპატოვს უკეთესი დამატებითი მაჩვენებლები აღმოაჩნდა და ოქროს მედალიც მას ერგო. მეორე ადგილზე რაპორტი გავიდა, 9,5-9,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები დინ ლირენმა და ნილს გრანდელიუსმა (შვედეთი) გაიყვეს.


მარცხნიდან - ნატო იმნაძე, ირაკლი ბერაძე, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე, დეა გოგიშვილი და გიორგი სიბაშვილი

# დღეიდან პრაღაში

საქართველოს 21 წარმომადგენელი მოსინჯავს ძალებს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე. დელეგაციის ხელმძღვანელია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი **აკაკი იაშვილი,** მწვრთნელი - დიდოსტატი **ლაშა ჯანჯღავა.** ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ:

**8-წლიანებში** - საბა ლომსაძე, ნიკოლოზ კაჭარავა, სალომე ბეიტრიშვილი, დიანა ლომაია; **10-წლიანებში** - ლუკა ობოლაძე, დიმიტრი ჯიბუტი, თამარ ესაძე, ანასტასია სიდამონიძე, ანტონ ნადირაძე; **12-წლიანებში** - კოკა ბუკია, ლუკა გოგია, ნატა ჯიბუტი; **14-წლიანებში** - გიორგი სიბაშვილი, თამარ ფაშკურიძე, ნინო ხომერიკი; **16-წლიანებში** - ირაკლი ბერაძე, დეა გოგიშვილი, ანა შამათავა; **18-წლიანებში** - ნატო იმნაძე, ნანი უნაფქოშვილი, შალვა ნადირაშვილი. საგულისხმოა, რომ ქართული ჭადრაკის ისტორიაში პირველად ისინი შეჯიბრებაზე ერთიანი ფორმით გამოვლენ.

ჩოგბურთი

# მეწყვილეს ვერ აჯობა

ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** ცინცინატის (აშშ) ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 2.168.400 დოლარი) ძირითად ბადეში სერბი ანა ივანოვიჩის ავადმყოფობის გამო იღბლიანი წაგებულის სტატუსით მოხვდა, ამის მიუხედავად, ჩვენებურმა ასპარეზობის სტარტზე მსოფლიო რეიტინგით 31-ე ადგილზე მყოფი ჩეხი კლარა ზაკოპალოვა ჩამოიშორა გზიდან. მეორე წრეში იგი ნადია პეტროვას მძლეველ ეკატერინა მაკაროვას (რუსეთი) დაუპირისპირდა.

საინტერესო ის არის, რომ მაკაროვა ამ ტურნირზე ტატიშვილის მეწყვილეა. მათმა დუეტმა პირველ წრეში ბეტანი მატეკ-სანდსსა (აშშ) და სანია მირზას (ინდოეთი) სამ სეტში სძლია - 2:6, 6:1, 10:8 და მეორე წრეში გავიდა, სადაც სლოვენიელ კატერინა სრებოტნიკისა და ჩინელი ცზიე ჟენგის წყვილს გაუწევს მეტოქეობას. ტატიშვილს სრებოტნიკთან ლონდონის ოლიმპიურ ტურნირზე (მაკა ჩახნაშვილთან ერთად) მარცხისთვის რევანში აქვს ასაღები.

ახლა ანას და მისი მეწყვილის გუშინდელ პაექრობას დავუბრუნდეთ: მაკაროვამ პირველი სეტი ძალების დაუძაბავად მოიგო - 6:1. მეორეში ქართველმა ჩოგბურთელმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა. 2:2-ზე ანა თავისი მოწოდებისას 40:15-ს იგებდა, მაგრამ მაინც დათმო ის გეიმი. მერეც ველარ იყოჩაღა და მეორე ხელი 2:6 წააგო.

მარცხის მიუხედავად, ტატიშვილმა ცინცინატში 90 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა: 20-საკვალიფიკაციო ეტაპზე, 70-იც ძირითადი ბადის მე-2 წრეში გასვლისთვის.


ანა ტატიშვილი

კალათბურთი. U18



# ნავსი გატყდა

**ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გრძელდება 18 წლის კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატი B დივიზიონის 22 ნაკრების მონაწილეობით.**

პირველი ეტაპის შემდეგ გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც უმაღლეს ეშელონში ალსაზევებლად ითამაშებენ. საქართველოს ნაკრები კი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მე-17 ადგილისთვის იბრძოლებს. გუშინ J ჯგუფში, სადაც ახალგაზრდა „ჯვაროსნებთან" ერთად შვეიცარიელები და ნორვეგიელები მოხვდნენ, ჩვენი ბიჭები შვეიცარიელ თანატოლებს დაუპირისპირდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ოთხწაგებიანი სერიის შემდეგ ქართველებმა ნავსი გატეხეს და მეტოქე 22-ქულიანი სხვაობით დაამარცხეს. პირველი მეოთხედი ჩვენებმა 23:12 მოიგეს, მეორე ათწუთიან მონაკვეთში კიდევ შვიდი ქულით გაზარდეს მონაგარი. შესვენების შემდეგ შვეიცარიელები გააქტიურდნენ და მესამე მეოთხედში ოთხი ქულით შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, თუმცა მატჩში გარდატეხის შეტანა ვერ შეძლეს - **მიხეილ ბერუაშვილის** შეგირდებმა ბოლო რაუნდი ისევ შვიდქულიანი უპირატესობით მოიგეს და საბოლოოდ 95:73 (23:12, 21:14, 26:30, 25:17) გაიმარჯვეს. ჩვენი გუნდიდან საუკეთესო შედეგი აჩვენა **ნიკა რამიშვილმა,** რომელმაც 16 წუთში 18 ქულას, 3 მოხსნას, 3 პასსა და ამდენივე ჩაჭრას მოუყარა თავი. ირაკლი მიქელაძემ - 15, ბექა ბურჯანაძემ - 12, გიორგი ცირეკიძემ და ლერი კვანტალიანმა - 11-11 ქულა მოაგროვეს. შვეიცარიელთაგან 18 ქულით საუკეთესო იყო ანჯელკოვიჩი. კოსტიჩმა - 11, ლესანმა კი 10 ქულა შესძინა გუნდს.

დღეს, 16 აგვისტოს, ქართველი კალათბურთელები ნორვეგიას შეხვდებიან, რომლის ძლევის შემთხვევაში მე-17 ადგილისთვის ითამაშებენ.

გუშინვე მე-2 რაუნდის სხვა ორთაბრძოლებიც გაიმართა:

### I-VIII ადგილებისთვის

**E ჯგუფი:** ისრაელი-ჩეხეთი 77:70, ინგლისი-ესტონეთი 73:49. ინგლისი-4, ჩეხეთი-3, ისრაელი-3, ესტონეთი-0 ქულა.

**F ჯგუფი:** ჩერნოგორია-ბელგია 62:82, ფინეთი-ბოსნია 86:84. ბელგია, ფინეთი, ჩერნოგორია, ბოსნია - 3-3 ქულა.

### IX-XVI ადგილებისთვის

**G ჯგუფი.** რუმინეთი-ავსტრია 50:80, უნგრეთი-სლოვაკეთი 71:38. ავსტრია-4, უნგრეთი-4, რუმინეთი-2, სლოვაკეთი-2 ქულა.

**H ჯგუფი.** შვედეთი-პორტუგალია 48:60, ისლანდია-ჰოლანდია 63:70. პორტუგალია-4, ჰოლანდია-3, შვედეთი-3, ისლანდია-2 ქულა.

### XVII-XXII ადგილებისთვის

**I ჯგუფი.** შოტლანდია-ლუქსემბურგი 61:75.



# მეტოქეებმა დაიწყეს

ევროპის კალათბურთელ ვაჟთა 2013 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად 16 საგზურისთვის კონტინენტის 31 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოლებენ. ისინი ექვს შესარჩევ ჯგუფში არიან განთესილი:

**A ჯგუფი:** სერბეთი, ისრაელი, ესტონეთი, სლოვაკეთი, ჩერნოგორია, ისლანდია.

**B ჯგუფი:** გერმანია, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, შვედეთი.

**C ჯგუფი:** ხორვატია, უკრაინა, ავსტრია, კვიპროსი, უნგრეთი.

**E ჯგუფი:** ფინეთი, პოლონეთი, შვეიცარია, ალბანეთი, ბელგია.

**F ჯგუფი:** თურქეთი, იტალია, ჩეხეთი, ბელარუსი, პორტუგალია.

**D ჯგუფში საქართველო,** ბოსნია-ჰერცეგოვინა, ლატვია, ჰოლანდია და რუმინეთი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

გუშინ საქართველოს ნაკრები ისვენებდა, მისმა მეტოქეებმა კი პირველი ორთაბრძოლები გამართეს. გაუწყებთ მათს შედეგებს: **რუმინეთი - ჰოლანდია 90:84** (28:27, 17:18, 25:18, 20:21); **ბოსნია-ჰერცეგოვინა - ლატვია 87:84** (23:22, 18:16, 23:29, 23:17). „ჯვაროსნები" სასტარტო პაექრობას 18 აგვისტოს თბილისის სპორტის სასახლეში გამართავენ - რუმინეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებენ, ამავე დღეს ჰოლანდია ბოსნიას დაუხვდება.

სხვა ჯგუფებში გუშინდელი შეხვედრები ასე დამთავრდა:

**A ჯგუფი:** ისლანდია - სერბეთი 78:91, ჩერნოგორია - ისრაელი 75:69, ესტონეთი - სლოვაკეთი 95:74.

**B ჯგუფი:** ლუქსემბურგი - აზერბაიჯანი 78:101, ბულგარეთი - შვედეთი 78:73.

**C ჯგუფი:** უკრაინა - უნგრეთი 77:71, კვიპროსი - ავსტრია 86:89.

**E ჯგუფი:** პოლონეთი - ბელგია 57:64, ალბანეთი - შვეიცარია 51:76.

**F ჯგუფი:** ბელარუსი - ჩეხეთი 65:73, იტალია - პორტუგალია 97:45.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **დანელიამ**



ჩვენებურები

# ქართველები ესტონური რაგბის წინა ხაზში

## გაიცანით ტარტუ ლელო – ბალტიის ქვეყნებში რაგბის მგეზავი კლუბი

**საქართველოს რაგბის სკოლას მდიდარი ტრადიცია აქვს და სამართლიანად დაიმსახურა სიმპათია მილიონობით სპორტის მოყვარულებში მთელ მსოფლიოში. ამ ტრადიციებს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1960-იან წლებში, როდესაც ქართველი მორაგბეები წარმატებით გამოდიოდნენ როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. 1966 წელს თბილისის „დინამო" გახდა საბჭოთა კავშირის ვერცხლის მედალოსანი, თბილისის „ლოკომოტივი" 4-ჯერ (1968, 1972, 1978 და 1981 წლებში) იყო საბჭოთა კავშირის ბრინჯაოს პრიზიორი, ქუთაისის „აია" კი სამჯერ ზედიზედ (1987-1989 წლებში) სსრკ-ის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.**


ზაზა ძინძაძე

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მიუხედავად ქვეყანაში არსებული სიძნელეებისა, ქართველმა მორაგბეებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო სარბიელზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ათეული ქართველი მორაგბე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპის კლუბებში თამაშობს და ყველგან წონად სიტყვას ამბობს.

ჩვენ მოგითხრობთ ესტონეთში მოღვაწე ქართველ მორაგბეებზე, იმაზე, თუ როგორ გახდა ესტონეთის რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ყოფილი ქართველი მორაგბე **ზაზა ძინძაძე** და იმაზეც, თუ როგორ მოხვდნენ ზაზას ვაჟი **დავით-სანდრო** და ძმები **ლევან და მამუკელი გორელაშვილები** ესტონეთის რაგბის ეროვნულ ნაკრებში. მოგიყვებით იმის შესახებაც, როგორ გახდა ესტონეთის ჩემპიონი გუნდი „ტარტუ ლელო".

შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რომ ზაზა ძინძაძე ითვლება ესტონეთში რაგბის ერთ-ერთ ფუძემდებლად, იმ ქვეყანაში, რომელსაც დიდი წარმატებები აქვს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მაგრამ ჯერ კიდევ სათქმელი აქვს თავისი სიტყვა რაგბიში.

ივლისის ბოლოს ესტონეთში ყოფნისას შევხვდით ზემოხსენებულ ქართველ სპორტსმენებსა და მწვრთნელს. ბუნებრივია, ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი მათ შორის არის 45 წლის ზაზა ძინძაძე - ესტონეთის რაგბის ნაკრებისა და ესტონეთის ჩემპიონის, კლუბ „ტარტუ ლელოს" მთავარი მწვრთნელი.

**- ბატონო ზაზა! რაგბის სტაჟიან ქომაგებს ახსოვხართ ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან. როგორ მოხვდით ესტონეთში?**

- ეს საინტერესო ისტორიაა. რაგბის თამაში დავიწყე 10 წლის ასაკში მშობლიურ თბილისში, ჩემი პირველი მწვრთნელები იყვნენ ცნობილი სპეციალისტები ბათუ კევლიშვილი და მალხაზ კოროშინაძე. მათ ბევრი რამ მომცეს როგორც ახალგაზრდა მორაგბეს. 16 წლისა მოვხვდი თბილისის „ლოკომოტივში", რომელიც სსრკ-ის ჩემპიონატში გამოდიოდა. „ლოკომოტივის" მწვრთნელი იყო თემურ ბენდიაშვილი. მე სრულიად ახალგაზრდა ვიყავი და თანდათან, ეტაპობრივად გავხდი ძირითადი გუნდის წევრი.

შემდეგ იყო სამხედრო სამსახური 1987-1988 წლებში, ჯარშიც ვთამაშობდი რაგბის, ვმონაწილეობდი სსრკ-ის შეიარაღებული ჯარების ჩემპიონატში და საპრიზო ადგილებიც დავიკავე. მერე ისევ დავბრუნდი „ლოკომოტივში" და ვთამაშობდი ძირითად შემადგენლობაში, ხოლო 1980-იანი წლების ბოლოს გადავედი თბილისის „მიმინოში", რომელიც სსრკ-ის პირველ ლიგაში გამოდიოდა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ გავაგრძელე თამაში „მიმინოში" საქართველოს ჩემპიონატში, მიწვევდნენ ეროვნულ ნაკრებშიც. რაგბის ვთამაშობდი 2001 წლის ბოლომდე, იმ წლიწადს „ლოკომოტივის" შემადგენლობაში გავხდი საქართველოს ჩემპიონი. შემდეგ გავემგზავრე ესტონეთში, თუმცა ამ ქვეყანაში დროდადრო ადრეც ჩამოვდიოდი.

**- ესტონეთში მოწვევით ჩახვედით თუ თავგადასავალს ეძებდით?**

- ისიც და ისიც. ჩემი თბილისელი თანაკლასელი კოტე ხიზდერი ცხოვრობდა ესტონეთში, ბიზნესით იყო დაკავებული და მან მირჩია აქ ჩამოსვლა. მე მივილე ეს გადაწყვეტილება, მით უმეტეს, რომ დაოჯახებული არ ვიყავი. ბიზნესმენი ესტონეთშიც ვერ ვიქნებოდი და ისევ რაგბით დავკავდი. ვიცნობდი აქ მცხოვრებ დაღესტნელ მორაგბეს, მაგომედ აბუბაკაროვს, რომელიც ადრე თამაშობდა კალინინგრადის კლუბში რუსეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში. მას ესტონეთში ბიზნესი ჰქონდა და რამდენადაც შესაძლებელი იყო, ხელი შეუწყო რაგბის გუნდის შექმნას ესტონეთში. თავდაპირველად ვცხოვრობდი ტალინში და შემდეგ გადავედი ტარტუში. იქ 2005 წელს შევქმენი გუნდი „ტარტუ ლელო". ამ სახელის მეორე კომპონენტი სუფთა ქართულია. დავიწყე ახალგაზრდა მორაგბეების მომზადება, რაგბის კლუბები გაჩნდა ესტონეთის სხვა ქალაქებშიც. 2005 წლიდან დაიწყო ესტონეთის ჩემპიონატების გამართვა. 2010 წელს „ტარტუ ლელომ" ესტონეთის ჩემპიონობა მოიპოვა, 2011 წელს კი შვიდკაცა რაგბიშიც იჩემპიონა. წლევანდელ ჩემპიონატში ჩვენს ამოცანად კვლავ რჩება მინიმუმ სამეულში მოხვედრა.

**- თქვენს გუნდში თამაშობს სამი ქართველი მორაგბე, მათ შორის თქვენი ვაჟი. დანარჩენები საქართველოდან მოიწვიეთ?**

- არა, ძმები ლევან და მამუკელი გორელაშვილები 2005 წლიდან ცხოვრობენ ტარტუში. ისინი თვითონ ჩამოვიდნენ აქ, სპორტსმენები არიან, თბილისში ხრიდოლით იყვნენ გატაცებულები და წარმატებებსაც აღწევდნენ. აქ, ესტონეთში, დაიწყეს რაგბის თამაში. ფიზიკურად ძლიერი ბიჭები არიან, სულით ძლიერები და გონებაგახსნილები. ისინი გახდნენ ჩემი დასაყრდენი. ორივე ტარტუს უნივერსიტეტში სწავლობს, მალე დაასრულებენ და ერთი ეკონომისტი გახდება, მეორე - იურისტი. ორივემ, რა თქმა უნდა, ისწავლა ესტონური. ორივე „ტარტუ ლელოს" და ესტონეთის ნაკრების ლიდერია. წარმატებული თამაშით დაიმკვიდრეს ადგილი ესტონეთის ეროვნულ ნაკრებში, გახდნენ წამყვანი მოთამაშეები. ესტონეთის ეროვნულმა ნაკრებმა უკვე ჩაატარა ბევრი საერთაშორისო მატჩი და ძმებმა ამ თამაშებში თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს.

ჩემი შვილი, დავით-სანდრო ასევე მონადინებულია. ჩვენი კლუბი და ნაკრები მრავალეროვნულია - ერთად თამაშობენ ესტონელები, ქართველები და რუსები.

**- მაგრამ ჯერ ესტონელმა მორაგბეებმა და ნაკრებმა ვერ მიაღწია რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას...**

- ეს ასეა, იმიტომ, რომ რაგბის ესტონეთში არა აქვს დიდი ტრადიციები, ჩემპიონატი იმართება 2005 წლიდან. დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ რაგბი ესტონეთში უფრო პოპულარული იქნება და მეტი წარმატებებიც მოვა. იმედი მაქვს, რომ ადგილობრივი ბიზნესმენები და კომპანიები დაგვეხმარებიან რაგბის - ამ მამაცი და რაინდული სპორტის სახეობის განვითარებაში. ესტონელები შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხია, ასე რომ, პროგრესი იქნება.

**- გავიგე, რომ საქართველოს რაგბის კავშირი დაგეხმარათ...**

- საქართველოში ბევრი მორაგბე მეგობარი მყავს, მათ შორის რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელთა შორის. როდესაც მათ შეიტყვეს, რომ ესტონეთში ჩვენ შევქმენით გუნდი „ტარტუ ლელო", რომელიც წარმატებებს აღწევს, კავშირის პრეზიდენტის გია ნიჟარაძის ინიციატივით საჩუქრად გამოუგზავნეს ჩვენს გუნდს ფორმების კომპლექტი, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვართ. ვისარგებლებ შემთხვევით და გთხოვთ მოკითხვა გადასცეთ ყველა ჩემს ნაცნობს და გულშემატკივარს საქართველოში. მინდა წარმატებები ვუსურვო ჩვენს მორაგბეებს.

ამის შემდეგ ტალინში შევხვდით ძმებ მამუკელი და ლევან გორელაშვილებს. ისინი 26 და 27 წლისანი არიან, 2005 და 2006 წლებიდან ცხოვრობენ ესტონეთში. ლევანმა გვითხრა:

*„პატარობიდანვე სპორტით ვიყავით დაკავებული. ხრიდოლში ვიყავით საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები, მაშინ თბილისში ვცხოვრობდით. ესტონეთში სიძნელეები არ შეგვხვედრია, ერთადერთი პრობლემა პირველ ეტაპზე იყო ის, რომ ესტონური ენა არ ვიცოდით, მაგრამ საკმაოდ ბევრი ვიმეცადინეთ და ეს პრობლემა გადავჭერით. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კლუბი „ტარტუ ლელო" იტყვის თავის სიტყვას, ხოლო ესტონეთის ეროვნული ნაკრები დროთა განმავლობაში მიაღწევს ახალ წარმატებებს".*

გავა დრო, შესაძლოა მხოლოდ 10-15 წელი და როდესაც ესტონეთი მიაღწევს წარმატებებს რაგბში, აღნიშნავენ, რომ ზაზა ძინძაძემ, მისმა ვაჟმა დავით-სანდრომ, ძმებმა მამუკელი და ლევან გორელაშვილებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ესტონეთის რაგბის განვითარებაში. ისინი სამუდამოდ შევლენ ესტონეთის რაგბის ისტორიაში, როგორც სპორტსმენები და როგორც სპორტის ამ სახეობის პოპულარიზატორები ბალტიის ამ ქვეყანაში. რაგბის თამაშს ესტონეთში არ მოაქვს რაიმე სერიოზული მატერიალური კეთილდღეობა, ჯერჯერობით ყველაფერი სპორტსმენების ენთუზიაზმზე, ხელისუფლებისა და ცალკეული ბიზნესმენების ყურადღებაზეა დამოკიდებული.

**თენგიზ პაჭკორია**
ტალინი


ლევან და მამუკელი გორელაშვილები

ოთხი ერი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლ ბლექსში ახალი ერა იწყება

**ოთხი ერის გათამაშების ყველაზე რეალური ფავორიტი მსოფლიოს თასის მფლობელი ახალი ზელანდიის ნაკრებია. „ოლ ბლექსს" თითქმის ერთი წელიწადია ახალი თავკაცი ჰყავს. სტივენ ჰანსენისთვის ეს ტურნირი პირველი ოფიციალური შეჯიბრება იქნება მთავარი მწვრთნელის რანგში.**

ახალზელანდიელებმა ჰანსენის ხელმძღვანელობით ივნისის ტესტებზე ირლანდიის ეროვნულ გუნდს სამი მატჩიდან სამივე მოუგეს. ოთხი ერის გათამაშებაში საასპარეზოდ მან 29 მორაგბე შეარჩია, რომელთაგანაც „სამყურებთან" ივნისში მხოლოდ **ჩარლი ფაუმუინას** არ უთამაშია.

სხვა დანარჩენი ყველა ნაცნობია. **იზრაელ დაგი, ჰოსე გეარი, ქორი ჯეინი, ბენ სმითი, ჯულიან სავეა, კონრად სმითი** და **მაა ნონუ** ის უკანახაზელები არიან, რომლებიც ნებისმიერ გუნდს შიშის ზარს სცემენ. მათ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უნარიანად დაგეზავს დენ კარტერი.

ახალზელანდიური რაგბის ქომაგთა სამწუხაროდ, შუამარბი სონი ბილ ვილიამსი მხოლოდ ავსტრალიის ნაკრებთან ითამაშებს სიდნეიში 18 აგვისტოს, მერე „ოლ ბლექსის" უძლები შვილი იაპონიას მიაშურებს და იქაურ კლუბში განაგრძობს კარიერას.

ტრადიციულად მძლავრია შერკინებაც, რომლის შემკვრელიც (№8) მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მესამეხაზელი **კირან რიდია,** მან რამდენიმე მძიმე ოპერაცია გადაიტანა და ახლა სრულიად ჯანმრთელია.

ტრავმების სიმცირეს არც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე, ახალი ზელანდიის ნაკრების ლიდერი და კაპიტანი **რიჩი მაქოა** უჩივის, თუმცა ყველა ახალზელანდიელის კერპმა კარიერაში წარმოქმნილი სირთულეები უკან მოიტოვა და საბრძოლველად მზად არის.

*„მთავარია, როგორ მოვახერხებთ საკუთარ თავთან სწორად მუშაობას და თამაშში პროგრესის მიღწევას. მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და სტაბილურობა შევინარჩუნოთ."* - თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სტივ ჰანსენმა.

**ახალი ზელანდია**

შერკინება: კირან რიდი, ვიქტორ ვიტო, რიჩი მაქოა, ლიამ მესამი, ადამ თომსონი, სემ კენი, სემ ვაითლოქი, ლუკ რომანო, ბროდი რეტალიქი, ოუენ ფრენქსი, ბენ ფრენქსი, ჩარლი ფაუმუინა, უაით კროკეტი, ტონი ვუდკოქი, ენდრიუ ჰორი, კევინ მეალამუ.

უკანა ხაზი: იზრაელ დაგი, ჰოსე გეარი, ქორი ჯეინი, ბენ სმითი, ჯულიან სავეა, კონრად სმითი, მაა ნონუ, ტამატი ელისონი, აარონ კრადენი, დენ კარტერი, პირი ვიპუ, აარონ სმითი, სონი ბილ ვილიამსი.

**ოთხი ერი**

**18 აგვისტო**
ავსტრალია-ახალი ზელანდია

**25 აგვისტო**
ახალი ზელანდია-ავსტრალია

**8 სექტემბერი**
ახალი ზელანდია-არგენტინა

**15 სექტემბერი**
ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა

**29 სექტემბერი**
არგენტინა-ახალი ზელანდია

**6 ოქტომბერი**
სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა


რაფაელ ნადალი

# ნადალი ადასტურებს: ამერიკის ღია ესპანელის გარეშე ჩაივლის

მსოფლიოს მესამე ჩოგანი, „დიდი სლემის" ტურნირების 11-გზის ჩემპიონი რაფაელ ნადალი მუხლის ტრავმის გამო ვერ შეძლებს ამერიკის ღია პირველობაზე თამაშს. ამის შესახებ 26 წლის ესპანელმა გუშინ, „ტვიტერზე" თავის მიკრობლოგში დაწერა:

*„ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა შეგატყობინოთ, რომ მზად არ ვარ აშშ-ის ღია პირველობაზე სათამაშოდ. მადლობა ჩემს გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის, განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავ ნიუიორკელი გულშემატკივრების მიმართ".*

# რადვანსკას მესამე შანსი

## ამ კვირის ტურნირების შემდეგ, შესაძლოა, ორივე რეიტინგში შეიცვალოს პირველი ნომრები


აგნიეშკა რადვანსკა

ცინცინატიში მიმდინარე მამაკაცთა და ქალთა ტურნირზე სოლიდური შემადგენლობებია შეკრებილი და იქ დიდ ბრძოლებს ელიან, მაგრამ მთავარი ინტრიგა ის არის, რომ ამ კვირის შემდეგ, შეიძლება შეიცვალოს ლიდერი ATP-სა და WTA-ის კლასიფიკაციაში.

დავიწყოთ ქალების რეიტინგით. **მარია შარაპოვას** ტიტული უნდა დაეცვა ცინცინატიში, მაგრამ იქ ტრავმის გამო ვერ თამაშობს. შესაბამისად, ის 780 ქულას დაკარგავს რეიტინგში და ნებისმიერ შემთხვევაში გაუშვებს წინ პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას**. ამ უკანასკნელს აქვს შანსი კარიერაში პირველად ქალთა ჩოგბურთის ლიდერი გახდეს. ამისთვის მას აუცილებლად ტურნირის მოგება სჭირდება, ანუ ყველაფერი პოლონელის ხელშია და ის სხვების შედეგებზე არ არის დამოკიდებული.

ასეთი სიტუაცია მას უიმბლდონზე და გასულ კვირას, მონრეალში ჰქონდა, ახლა იგივე ხდება ცინცინატიში. რადვანსკასთვის ხელის შეშლით ყველაზე მეტად **სერენა უილიამსია** დაინტერესებული, რომელიც, ტურნირის მოგების შემთხვევაში, ასევე უკან ჩამოიტოვებს მარია შარაპოვას.

■ ■ ■

კაცებს შორის ტიტულს იცავს **ენდი მიურეი**. ბოლო დროს, ის ძალიან მიუახლოვდა რეიტინგში **რაფაელ ნადალს**, მაგრამ ახლა, შესაძლოა, 1500 ქულით დაშორდეს ესპანელს. თუმცა ეს მაშინ მოხდება, თუ ესპანელი ნაადრევად გამოეთიშება ბრძოლას.

ჯოკოვიჩმა შარშანდელი ფინალისთვის 600 ქულა უნდა დაიცვას და შესაბამისად, გამარჯვების შემთხვევაში, 400 ქულას შემატებს თავის მონაგარს. ახე რომ, თუ ფედერერს სურს დაიცვას თავისი პირველი ადგილი, აუცილებელია ფინალამდე მიაღწიოს, იქ კი ჯოკოვიჩთან ნაგების უფლება ექნება.

■ ■ ■

ამასობაში, აშშ-ის საჩოგბურთო ასოციაციამ იმ ჩოგბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც ამერიკის ღია პირველობის ძირითად ბადეში უაილდქარდის მეშვეობით მოხვდებიან.

სპეციალური მიწვევა მიიღო 31 წლის ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა**, რომელსაც ნიუ იორკში 2001 წელს გაუმარჯვია, ახლა კი 134-ე ადგილი უკავია ATP-ის რეიტინგში. ასევე პირდაპირ მოხვდნენ ძირითად ბადეში ამერიკელები: **ჯეიმს ბლეიკი, სტივ ჯონსონი, ჯეკ სოკი, დენის კუდლა, რაჯივ რამი** და 18 წლის **დენის ნოვიკოვი**. ბოლო უაილდქარდის მფლობელი გახდა ფრანგი **გიიომ რუფენი**.

# ვეტერანები იგებენ და ამ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკის ქალაქ ცინცინატიში ორი დღეა მიმდინარეობს დიდი ტურნირი ქალებსა და მამაკაცებს შორის, თუმცა შეიძლებოდა კაცების მასტერსზე შემადგენლობა უფრო ძლიერი ყოფილიყო.

კვლავაც ვერ მოირჩინა ტრავმა **რაფაელ ნადალმა**, რომელიც, სავარაუდოდ, აშშ-ის ღია პირველობას გამოტოვებს. ფეხი აქვს დაზიანებული ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას**. ასევე ვერ ვხედავთ ცინცინატიში **ნიკოლას ალმაგროს, გაელ მონფილსს, ფერნანდო ვერდასკოს, ჯონ ისნერსა** და **ჟილ სიმონს**...

გუშინდელი მატჩებიდან ყველაზე დიდი ყურადღება ზაფხულის გმირისკენ, 34 წლის **ტომი ჰაასისკენ** იყო მიპყრობილი. გერმანელმა ბოლო თვეებში სამ ფინალში მოასწრო თამაში, მოიგო ჰალეს ტურნირი, გასულ კვირას კი ტორონტოს ტურნირის მეოთხედფინალამდე გააღწია.

ისევე როგორც კანადაში, აქაც პირველ წრეში ჰაასს არგენტინელ **დავიდ ნალბანდიანთან** მოუწია შეხვედრამ.

ეს იყო საწყისი რაუნდის ყველაზე დაძაბული შეხვედრა, რომელიც 3 საათი და 22 წუთი გაგრძელდა. პირველ სეტში ჰაასს ექვსი სეტბოლი ჰქონდა, მაგრამ მაინც დამარცხდა ტაი-ბრეიკზე. შემდეგ, გერმანელმა მეორე პარტიის ტაი-ბრეიკზე მატჩბოლი მოიგერია და ბოლოს, ერთადერთი ბრეიკის წყალობით აიღო გადამწყვეტი სეტი. სხვათა შორის, ეს ნალბანდიანის ზედიზედ მეოთხე წაგებაა ლონდონის ტურნირზე მომხდარი სკანდალის შემდეგ. მაშინ არგენტინელმა სარეკლამო ბარიერი დაამსხვრია და მსაჯი დააზიანა, რის გამოც დისკვალიფიკაცია მიიღო.


ტომი ჰაასი

გრძელდება მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის, ამერიკელი **ენდი როდიკის** კრიზისი. ახალი რეიტინგის მიხედვით, როდიკი აღარ არის ტოპ-ოცეულში, ახლა კი პირველივე წრის მატჩი წააგო ცინცინატის მასტერსზე. მან საათსა და 33 წუთში დათმო შეხვედრა **ჟერემი შარდისთან**. ფრანგმა ორი ბრეიკი გააკეთა, როდიკს კი ერთადერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და ის ვერ გამოიყენა.

**Western & Southern Open**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 825 280 დოლარი

**I წრე**

**ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 13) 6:1, 6:1; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 12)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:3, 4:6, 6:4; **ბრაიან ბეიკერი (აშშ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 15) 7:6(7), 7:6(3); **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-მიხაილ იუჟნი (რუს) 6:4, 6:4; **ტომი ჰაასი (გერ)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 6:7(0), 7:6(4), 6:3; **ალექს ბოგომოლოვი (რუს)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:4, 6:3; **ჟერემი შარდი (საფ)**-ენდი როდიკი (აშშ, 16) 7:6(4), 6:3; **მერდი ფიში (აშშ, 10)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:2, 6:3; **მილოშ რაონიჩი (კან)**-რიშარ გასკე (საფ) 7:6(4), 6:3.

# შარშანდელი ნახევარფინალისტების გარეშე

ცინცინატიში ქალებს შორის სრულდებოდა პირველი წრე და პარალელურად, მეორე წრის ოთხი მატჩი გაიმართა. მოულოდნელი შედეგით დასრულდა **მარიონ ბარტოლისა და იოანა ლარსონის** მატჩი. შვედმა, რომელმაც კვალიფიკაცია გაიარა და ისე მოხვდა ძირითად ბადეში, 6:4, 6:2 გაანადგურა მსოფლიოს მე-11 ჩოგანი.

განთესვის სხვა ლიდერებმა გამარჯვებით დაიწყეს ტურნირი, თუმცა ზოგიერთს გაუჭირდა მერვედფინალში გასვლა.

ამერიკის ღია პირველობის მოქმედი ჩემპიონი **სამანტა სტოსური** ვეტერან ესპანელს **ანაბელ მედინა გარიგესს** ხვდებოდა. ავსტრალიელმა კარგად დაიწყო შეხვედრა და პირველი სეტი დამაჯერებლად აიღო - 6:3. სტოსურს პრობლემები მეორე სეტიდან დაეწყო, სადაც საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და იქ ესპანელს გაუმართლა.

მესამე სეტის დასაწყისი კი სამანტასთვის კატასტროფული გამოდგა. მედინა გარიგესი 4:0 დაწინაურდა და ორი გეიმი აკლდა მერვედფინალის საგზურამდე, მაგრამ აქ ავსტრალიელმა სასწაული ჩაიდინა - ზედიზედ ექვსი გეიმის მოგება შეძლო და დრამატულ მატჩში გამარჯვება გამოსტაცა ესპანელს.

გაუჭირდა ტურნირის კიდევ ერთ ფავორიტს - გერმანელ **ანჟელიკ კერბერს**, რომელიც 19 წლის უნგრელ **ტიმეა ბაბოშს** ხვდებოდა. ეს იყო მეორე წრის მატჩი. გერმანელმა წააგო პირველი სეტი, მაგრამ შემდეგ საბოლოოდ მოიპოვა ინიციატივა. დარჩენილ დროში კერბერმა მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო მსოფლიოს 62-ე ჩოგანს და საათსა და 31 წუთში სამ სეტში მოიგო.

პირველ წრეში ცენტრალური შეხვედრა იყო მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს **ვენუს უილიამსსა** და რუს **მარია კირილენკოს** შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოვიდა.

პირველ სეტში ვენუსმა ერთადერთი ბრეიკი გააკეთა და ის პარტიის ბოლომდე შეინარჩუნა 6:3. მეორე სეტში კირილენკო მუდმივად მდევრის როლში იყო - მან სამჯერ დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი, შემდეგ კი ტაიბრეიკზე მიაღწია წარმატებას.

მესამე პარტიაში ვენუს უილიამსი კორტის სრული ბატონ-პატრონი გახდა. ის ბრწყინვალედ თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე და რუსს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა, თავად კი ორჯერ აიღო მეტოქის გეიმი და 6:2 მოიგო.

სხვათა შორის საინტერესოა, რომ ცინცინატიში აღარ დარჩა შარშანდელი ტურნირის არც ერთი ნახევარფინალისტი - **მარია შარაპოვამ, ვერა ზვონარევამ** და **ანდრეა პეტკოვიჩმა** ტრავმის გამო ვერ შეძლეს თამაში, **ელენა იანკოვიჩმა** კი დრამატულ ბრძოლაში წააგო თავისი მატჩი **შუაი პენგთან**. სერბმა ხუთი მატჩბოლის განიავება მოახერხა და ამ წაგების გამო, მომავალი ორშაბათიდან რეიტინგის საუკეთესო ოცდაათეულის მიღმა აღმოჩნდება.

**Western & Southern Open**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 168 400 დოლარი

**I წრე**

**კამილა ჯორჯი (იტა, WC)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 14) 6:1, 6:3; **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-ქსენია პერვაკი (ყაზ) 6:2, 6:4; **შუაი პენგი (ჩინ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 13) 5:7, 7:5, 7:6(8); **ვენუს უილიამსი (აშშ)**-მარია კირილენკო (რუს, 12) 6:3, 6:7(5), 6:2; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ნადია პეტროვა (რუს, 15) 7:6(8), 3:1 უარი; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 2:6, 7:6(1), 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:4, 6:0; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 16) 6:3, 6:4.

**II წრე**

**ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-ტიმეა ბაბოში (უნგ) 3:6, 6:1, 6:2; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 3)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:3, 6:7(6), 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-ელენი დანილიდუ (საბ) 6:3, 6:4; **იოანა ლარსონი (შვედ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 8) 6:4, 6:2.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ვენუს უილიამსი კირილენკოსთან მატჩში

ფორმულა 1

# ნიკი ლაუდა: რთულ სიტუაციებში ალონსო ყველაზე ეფექტურია

ავსტრიული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა ჟურნალისტს ოლიმპიურ შთაბეჭდილებებს უზიარებს, აგრეთვე ბრძოლის გაგრძელებას ელის ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე.


ნიკი ლაუდა

**- ოლიმპიური თამაშების დროს გახმოვანდა ლონდონის ქუჩის გრანპრის ჩატარების იდეა. როგორ აფასებთ ამ შესაძლებლობას?**

- ამაზე არ მიფიქრია. ახლა მე გასული თამაშებისგან მიღებული შთაბეჭდილებების ქვეშ ვიმყოფები. ოლიმპიადას თავიდან ბოლომდე ვუყურე - დაწყებული გახსნის ცერემონიიდან და დამთავრებული დახურვის შოუთი. მე მგონი, ამაზე უკეთ ორგანიზება შეუძლებელია.

**- ახლა, გულშემატკივრებს შეუძლიათ ისევ გადაერთონ ფორმულა 1-ზე. ხუთკვირიანი პაუზა ძალიან გრძელი ხომ არ გეჩვენებათ?**

- ეს ტრადიციად ჩამოყალიბდა და მე არ შემიძლია მასზე გავლენის მოხდენა.

**- როგორ იყენებენ გუნდები ბელგიის გრანპრიმდე დარჩენილ დროს?**

- საჯინიბოებს არ აქვთ დიდი შესაძლებლობები, რადგან არსებობს კონტროლი იმაზე, რომ მათი ბაზები მართლაც დახურული იყოს.

**- სეზონის დაწყების წინ თქვენ ამბობდით, რომ ფორმულა 1-ის ისტორიას კიდევ ერთი დამაინტრიგებელი ჩემპიონატი ელის. ხომ არ შეიცვალეთ აზრი მას შემდეგ, რაც ფერნანდო ალონსომ დამაჯერებელი ლიდერობა მოიპოვა?**

- არა. ტოპ-გუნდების ძალები თითქმის თანაბარია და უნგრეთის რბოლამ ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. იმედია, „რედ ბული" და „მაკლარენი" გამოაჩენენ თავიანთ ნამდვილ პოტენციალს და ბრძოლა დაძაბული იქნება.

**- ჩანს, რომ ფეტელი ისე კომფორტულად ვერ გრძნობთ თავს, როგორც ეს გასულ წელს იყო...**

- შარშანდელ ჩემპიონატში მის მანქანას გიგანტური უპირატესობა ჰქონდა, ახლა კი მას ყოველ რბოლაში ბრძოლა უწევს იმისთვის, რომ ლიდერს არ ჩამორჩეს. ნერვული დაძაბულობა ძალიან დიდია, და რთულ სიტუაციებში ყველაზე ეფექტურად ალონსო მოქმედებს.

# ბერგერი ახალგაზრდების ჩაგვრაზე


გერჰარდ ბერგერი

კიდევ ერთ სახელგანთქმულ ავსტრიელს **გერჰარდ ბერგერს** არ მოსწონს პილოტთა მომზადების დღევანდელი სისტემა.

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი სათავეში ჩაუდგა საფორმულე რბოლების კომისიას და ახლა უკმაყოფილოა ახალგაზრდული ჩემპიონატების იერარქიით.

„დღეს ძალიან ბევრი სხვადასხვა სერია არსებობს, რომლებიც უფრო ხელს უშლიან ახალგაზრდა პილოტებს, ვიდრე ეხმარებიან მათ. ერთი თაობის საუკეთესო პილოტებს არ შეუძლიათ ერთმანეთის წინააღმდეგ შეჯიბრება, რადგან ერთი გამოდის ფორმულა 3-ში, მეორე - „ფორმულა რენოში", მესამე - „გრანპრი 2"-ის სერიაში. ბევრი იმსახურებს ფორმულა 1-ში გამოსვლას, მაგრამ არ შეუძლია იქ მოხვედრა. მომზადების სისტემა აღარ მუშაობს.

თავდაპირველად, უნდა გავარკვიოთ ფორმულა 3-ის საკითხი, რადგან მიმაჩნია, რომ ეს სერია ყველაზე კარგად ამზადებს ახალგაზრდა პილოტებს. მე თავად გავიარე ეს სკოლა. უნდა შევიმუშაოთ გონივრული წესები, რათა შევქმნათ მონაწილეთა სწორი და თანაბარი შემადგენლობა. შემდეგ უნდა შევამციროთ გუნდების დანახარჯები. ეს იქამდე მიგვიყვანს, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერ პილოტს უფრო გაუადვილდება ფორმულა 1-ში მოხვედრა.

# ბარიკელო ოცნებას არ ეშვება

ვეტერანი ბრაზილიელი პილოტი **რუბენს ბარიკელო**, რომელიც ამჟამად ინდიკარის სერიაში გამოდის, პრესასთან საუბარში აღიარებს, რომ ისევ ფიქრობს ფორმულა 1-ში დაბრუნებაზე.

*„ვფიქრობ, ჯერ კიდევ არსებობს უკან დასაბრუნებელი გზა, - თქვა 40 წლის ბრაზილიელმა Auto Motor und Sport-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. - ფორმულა 1-ის რბოლების ყველა დეტალს ვადევნებ თვალს. ვუყურებ ყველაფერს, დაწყებული თავისუფალი პრაქტიკიდან. ჩემი მეგობრების დახმარებით, დილის ხუთი საათიდან ვილებ ინფორმაციას საბურავებსა და სარბოლო მახასიათებლებზე. ჩემს მეუღლეს ჰგონია, რომ საბოლოოდ შევიშალე.*

*ძალიან მტკივა გული, რომ იქ ყოფნა არ შემიძლია. არადა, ფორმულა 1 ძალიან ახლოსაა. არასწორად არ გამიგოთ: კმაყოფილი ვარ ინდიკარში გამოსვლით და თავს მსხვერპლად არ მივიჩნევ. ვფიქრობ, პირველ რიგში ამით „უილიამსი" დაზარალდა, რადგან შემეძლო ამ გუნდში ბრწყინვალე სეზონი ჩამეტარებინა. ბრიტანულ საჯინიბოს სარგებლობას მოვუტანდი".*


რუბენს ბარიკელო

კრივი

# ჩინელების ახალი მიზანი


ზუ შიმინის ტრიუმფი

ჩინელი **ზუ შიმინი**, რომელმაც ლონდონის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა 49-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, მზად არის პროფესიულ კრივში გადასასვლელად. თუ ეს მოხდა, შიმინი იქნება პირველი ჩინელი, რომელიც პროფესიულ კარიერას დაიწყებს. აღსანიშნავია, რომ 31 წლის სპორტსმენი ლონდონის საკრივო ტურნირის ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონია. მან მესამე მედალი მოიპოვა ზაფხულის თამაშებზე: 2004 წელს ათენში ბრინჯაოს პრიზიორი იყო, 2008 წელს პეკინში - ოქრო დაიმსახურა.

*„ძალიან მინდოდა ამ თამაშებზე ოქროს მედლის მოპოვება, - ამბობს ზუ შიმინი. - ძალიან ფრთხილად და ყურადღებით ვეკიდებოდი ყოველ ბრძოლას. შეცდომის უფლება არ მქონდა. ახლა მინდა მეტი დრო გავატარო ოჯახთან და ჩემს ერთი წლის შვილთან. მაგრამ, ამავდროულად, სერიოზულად განვიხილავ პროფესიულ კრივში გადასვლის შესაძლებლობას.*

კალათბურთი

# სტრიტბოლი ოლიმპიადაზე

2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს თამაშებზე, შესაძლოა, ოლიმპიურ პროგრამაში ახალი სახეობა გამოჩნდეს. ეს არის „სტრიტბოლი", ანუ ქუჩის კალათბურთი, რომელშიც თითოეულ გუნდში სამ-სამი კალათბურთელი თამაშობს.

*„ვიცით, რომ ოლიმპიურ პროგრამაში ფრენბურთის გარდა, პლაჟის ფრენბურთიც არის შეტანილი, ცურვის გარდა, სინქრონული ცურვა. ამიტომაც, გვინდა, რომ კალათბურთის გარდა, სპორტსმენები ამ თამაშის სხვა ნაირსახეობაშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს"*, - ამბობს კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი **პატრიკ ბაუმანი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2013**

| UNDER 21 | |
|---|---|
| ბელარუსი-კვიპროსი | 0:5 |
| ფინეთი-ლიტვა | 3:4 |
| უკრაინა-სლოვენია | 2:0 |
| უელსი-სომხეთი | 0:1 |
| ფარერები-დანია | 1:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| იაპონია-ვენესუელა | 1:1 |
| ს. კორეა-ზამბია | 2:1 |
| ჩინეთი-განა | 1:1 |
| სინგაპური-ჰონგ კონგი | 2:0 |
| აზერბაიჯანი-ბაჰრეინი | 3:0 |
| რუსეთი-კოტ დ'ივუარი | 1:1 |
| ანგოლა-მოზამბიკი | 2:0 |
| სომხეთი-ბელარუსი | 1:2 |
| ბოტსვანა-ტანზანია | 3:3 |
| ნიგერი-ნიგერია | 0:0 |
| ტუნისი-ირანი | 2:2 |
| ომანი-ეგვიპტე | 1:1 |
| ბულგარეთი-კვიპროსი | 1:0 |
| ნორვეგია-საბერძნეთი | 2:3 |
| შვედეთი-ბრაზილია | 0:3 |
| უკრაინა-ჩეხეთი | 0:0 |
| დანია-სლოვაკეთი | 1:3 |
| ალბანეთი-მოლდოვა | 0:0 |
| ავსტრია-თურქეთი | 2:0 |
| ხორვატია-შვეიცარია | 2:4 |
| უნგრეთი-ისრაელი | 1:1 |
| ჩერნოგორია-ლატვია | 2:0 |
| მაკედონია-ლიტვა | 1:0 |
| ბელგია-ჰოლანდია | 4:2 |
| ესტონეთი-პოლონეთი | 1:0 |
| გერმანია-არგენტინა | 1:3 |
| ჩრ. ირლანდია-ფინეთი | 3:3 |
| სერბეთი-ირლანდია | 0:0 |
| სლოვენია-რუმინეთი | 4:3 |
| უელსი-ბოსნია | 0:2 |
| ინგლისი-იტალია | 2:1 |
| საფრანგეთი-ურუგვაი | 0:0 |
| შოტლანდია-ავსტრალია | 3:1 |
| ისლანდია-ფარერები | 2:0 |
| პორტუგალია-პანამა | 2:0 |
| პუერტო რიკო-ესპანეთი | 1:2 |

| UNDER 21 | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ესტონეთი | 2:0 |
| ჰოლანდია-იტალია | 0:3 |
| უნგრეთი-ჩრ. ირლანდია | 3:2 |
| ჩერნოგორია-სლოვაკეთი | 1:1 პენ. 6:7 |
| საბერძნეთი-პოლონეთი | 2:0 |
| შვედეთი-რუმინეთი | 0:2 |

**გერმანია**

| რეგიონალლიგა (ბ) | |
|---|---|
| ბაიერნი II-ინგოლშტადტი II | 1:0 |
| ვიურცბურგერი-აუგსბურგი II | 4:2 |
| რაინი-ჰელმსშტეტენი | 1:0 |
| ვიქტორია-მიუნხენი II | 1:3 |
| ბამბერგი-როზენჰაიმი | 1:2 |
| ილერტისენი-ბუხბახი | 4:1 |

| რეგიონალლიგა (ს–დ) | |
|---|---|
| კობლენცი-კასელი | 0:0 |

**[illegible]**

| 1 რაუნდი | |
|---|---|
| [illegible] | 2:7 |
| [illegible] | 1:4 |
| ესბერგი92-ფინი | 3:2 |
| დიურსლანდი-სკოვბაკენი | 2:3 |
| ჰელსინგორი-ჰერლევი | 3:0 |
| სიდვესტი-ოტერუპი | 3:4 |
| ფემჰოი-ვანლოსე | 0:1 |
| ჰიორინგი-ბლოხუსი | 0:9 |
| სკიოლდი-ეგედალი | 2:4 |
| რინგკიობინგი-ბრაბრანდი | 3:2 |
| რინგსტედი-ნაესტვედი | 1:4 |
| სჯი-სვენდბორგი | 0:1 |
| ტიორინგი-ვიბი | 0:4 |
| ტიედი-აარუპი | 0:5 |
| უბერუდი-ვეილე | 0:13 |
| გლოსტრუპი-ლუნგბიუ | 1:6 |
| ტისტედი-ჰობრო | 2:3 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი 2013**

| შესარჩევი | |
|---|---|
| ჩერნოგორია-ისრაელი | 75:69 |
| ესტონეთი-სლოვაკეთი | 95:74 |
| ბულგარეთი-შვედეთი | 78:73 |
| ლუქსემბურგი-აზერბაიჯანი | 78:101 |
| უკრაინა-უნგრეთი | 77:71 |
| კვიპროსი-ავსტრია | 89:89 (ო) |
| რუმინეთი-ჰოლანდია | 90:84 |
| ბოსნია-ლატვია | 87:84 |
| პოლონეთი-ბელგია | 57:64 |
| ალბანეთი-შვეიცარია | 51:76 |
| ბელარუსი-ჩეხეთი | 65:73 |
| იტალია-პორტუგალია | 97:45 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ცინცინატი | |
|---|---|
| ფიში-ბერლოკი | 6:3, 6:1 |
| ფ. მაიერი-დავიდენკო | 3:6, 3:6 |
| ჰიუიტი-ტროიცკი | 2:6, 0:6 |
| ისტომინი-შარდი | 4:6, 3:6 |
| ჯოკოვიჩი-სეპი | 7:6, 6:2 |
| დელ პოტრო-ჰაასი | 7:5, 6:2 |
| ნიშიკორი-ბლეიკი | 2:6, 6:4, 6:4 |
| ჩილიჩი-ლევინე | 7:5, 7:6 |
| მონაკო-შტეპანეკი | 6:7, 1:6 |
| მიურეი-კუერი | 6:2, 6:4 |
| რაონიჩი-ბაღდატისი | 6:7, 6:3, 6:4 |

| WTA. ცინცინატი | |
|---|---|
| პენგი-ვინჩი | 6:3, 6:4 |
| ა. რადვანსკა-არვიდსონი | 6:4, 6:3 |
| სტივენსი-ჯორჯი | 6:2, 6:1 |
| ჰლავაჩკოვა-ციბულკოვა | 7:6, 6:1 |
| გორგესი-პავლიუჩენკოვა | 3:6, 0:6 |
| შვედოვა-უ. რადვანსკა | 6:4, 1:6, 0:6 |
| ტატიშვილი-მაკაროვა | 1:6, 2:6 |
| ჰანტუხოვა-ერანი | 4:6, 4:6 |
| ბარტელი-კვიტოვა | 6:3, 2:6, 5:7 |
| ვ. უილიამსი-სხეპერსი | 2:6, 6:3, 6:2 |

TV პროგრამა

**16 აგვისტო. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**11:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-დორტმუნდი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ლივერპული.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ტოტენჰემი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
**21:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XVI ტური. პალმეირასი-ფლამენგო.
**23:00** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. არსენალი.
**00:30** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ატლანტა-ოკლაჰომა.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ტულუზა-არლეკინსი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მილანი.
**21:30** გოლფი.
**23:30** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ატლანტა-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**14:00** სპორტ-NEWS.
**14:30** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**18:30** სპორტ-NEWS.
**19:00** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ცინცინატი. აშშ (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 22 | 37 | (მზე) |
| ქუთაისი | 22 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 23 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 21 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 21 | 28 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 20 | 36 | (მზე) |
| თელავი | 21 | 36 | (მზე) |
| სიღნაღი | 22 | 34 | (მზე) |
| ძობულეთი | 22 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 13 | 29 | (მზე) |
| ბორჯომი | 17 | 34 | (მზე) |
| მესტია | 16 | 25 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0287 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6421 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5776 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1681 |

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012 ინტერვიუ ჟაკ როგესთან

# პრეზიდენტი აფასებს

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი ჟაკ როგე წარმატებულს უწოდებს ლონდონის ოლიმპიადას და დარწმუნებულია, რომ დოპინგის პრობლემა მუდმივად იარსებებს. 2012 წლის თამაშების დასრულების შემდეგ ჩაწერილ ინტერვიუში, სოკ-ის პრეზიდენტი კიდევ ბევრ საინტერესო საკითხზე ლაპარაკობს...**


ჟაკ როგე

**- ლონდონის ოლიმპიადა - მეექვსეა, რომელიც თქვენი პრეზიდენტობის პერიოდს დაემთხვა. ბევრი მას საუკეთესოს უწოდებს ამ 11 წლის განმავლობაში. თქვენც ასე მიგაჩნიათ?**

- ვფიქრობ, ჩვენ არ შეგვიძლია შევადაროთ თამაშები, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში იმართება იმიტომ, რომ არსებობს ეკონომიკური, პოლიტიკური პირობები, კულტურული სხვაობა. ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ მხოლოდ ერთი კონკრეტული ოლიმპიადა. ძალიან კმაყოფილი ვარ - ეს შესანიშნავი თამაშები იყო.

**- მართლა ვერ დაინახეთ პრობლემა მის ორგანიზაციაში?**

- განსაკუთრებული პრობლემა არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „კრიზისის" გამოყენება არ დაგვჭირვებია.

**- რომელი მომენტი იყო თქვენთვის ყველაზე ემოციური? რომელი მიღწევა შეიძლება შევიდეს ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში?**

- ასეთი მომენტები მრავლად იყო, ყველას ვერ გამოყოფ. რა თქმა უნდა, უსაინ ბოლტი, მაიკლ ფელპსი, რომელმაც ლარისა ლატინინას რეკორდი დაამხო. 22 მედალი - ეს დაუჯერებელია! რა თქმა უნდა, დავიდ რუდიშა თავისი მსოფლიოს რეკორდით 800 მეტრზე... ექვსი-შვიდი მოვლენა ნამდვილად დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

**- ამ ოლიმპიადის პროგრამა უფრო მჭიდრო ჩანდა, ვიდრე წინა თამაშების განრიგი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ის ოდნავ „გაბერილი" იყო...**

- ვერ დაგეთანხმებით და შემიძლია საპირისპირო იოლად დაგიმტკიცოთ. პეკინში წარმოდგენილი იყო სპორტის 28 სახეობა, ლონდონში - 26. ჩინეთში 10 ათასი სპორტსმენი მონაწილეობდა, ლონდონშიც - ამდენივე.

**- დასწრების მხრივ, პეკინში საქმე უკეთესად იყო?**

- მოსახლეობით ჩინეთი ყველაზე დიდი ქვეყანაა მსოფლიოში. ლონდონს გაუჭირდებოდა ამ მხრივ პეკინის გასწრება. თუ სტადიონების ზომებსა და მაყურებლის რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში, 2008 წლის ოლიმპიადისთვის კონკურენციის გაწევა რთული იქნებოდა.

**- თქვენი აზრით, როგორ ჩაიარა ოლიმპიადის ახალმა სპორტულმა დისციპლინებმა? პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ქალთა კრივი.**

- ის წარმატებული იყო. მე ვიყავი ტრიბუნებზე და ვნახე, რამხელა ინტერესი გამოიწვია ამ ტურნირმა.

**- მაგრამ ყველა აღფრთოვანებული არ დარჩენილა ქალი მოკრივეების მომზადების დონით...**

- ჩვენ გვქონდა კონსულტაცია კრივის ექსპერტებთან. მათ თქვეს, რომ მონაწილეთა უმრავლესობა ტექნიკურად კარგად იყო მომზადებული. აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ ტურნირის დონით.

**- ისე ჩანს, რომ ეს ოლიმპიადა, სავარაუდოდ, პირველია, სადაც დოპინგის თემა ცენტრალური არ ყოფილა: სკანდალების მცირე რაოდენობა, რეალურად ხმაურიანი - ერთი. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეძლო დოპინგის პრობლემის მოგვარება?**

- დოპინგის პრობლემა ბოლომდე არასოდეს გადაიჭრება. ეს არის დანაშაულის ერთგვარი ფორმა სპორტში. კარგად იცით, რომ საზოგადოება დანაშაულისგან ვერასოდეს განთავისუფლდება. ის არ შეიძლება არსებობდეს მოსამართლეების, პოლიციის, ციხის გარეშე. ასევე სპორტი ვერ იარსებებს დოპინგ-კონტროლის სისტემის გარეშე. ტყუილი - ადამიანის ბუნებაშია ჩადებული. მაგრამ მიმაჩნია, რომ შევძელით მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა დოპინგთან ბრძოლაში. ხოლო ის გარემოება, რომ სკანდალების რიცხვი მცირე იყო - იმას ამტკიცებს, რომ მოვახერხეთ ეფექტურად მომუშავე ანტისადოპინგო სისტემის შექმნა.

**- ეს მექანიზმი შემდგომ სრულყოფას საჭიროებს?**

- „სრულყოფა" - ძალიან ხისტი განსაზღვრებაა. უფრო მიესადაგება - „ადაპტაცია". ყოველი ოლიმპიადის შემდეგ ვატარებთ ყველაფრის ანალიზს, რაც თამაშების დროს მოხდა, მათ შორის, ანტისადოპინგო სამსახურის მუშაობას. თუ ჩვენ ვხედავთ, რომ რაღაცის შეცვლა შესაძლებელია, ამას ვაკეთებთ.

**- ოლიმპიადაზე იყო მსაჯობასთან დაკავშირებული სკანდალები: ჭიდაობაში, კრივში... ერთი ბრძოლის შედეგი საერთოდ შეცვალეს. ამ პრობლემას როგორ უყურებთ?**

- სპორტის იმ სახეობებში, სადაც შედეგს მსაჯები განსაზღვრავენ, მსგავსი შემთხვევები არსებობს. ლონდონის ოლიმპიადა გამონაკლისი არ ყოფილა. რას მოვიმოქმედებთ? ისევ გავაანალიზებთ მომხდარს, გავარკვევთ მიზეზებს, რამაც ეს სკანდალები გამოიწვია და ვნახავთ, როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა.

**- დავუბრუნდეთ ოლიმპიურ პროგრამას. თქვენი აზრით, მას მომავალშიც სჭირდება ცვლილებები?**

- ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ მის კორექციაზე. რაღაც ცვლილება პრაქტიკულად ყოველ თამაშზე ხდება. ლონდონისთვის შემოვიტანეთ ქალთა კრივი, რეფორმა ჩაუტარდა ველოსპორტის პროგრამას, რათა იქ მეტი ქალი სპორტსმენი ყოფილიყო წარმოდგენილი. 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროში პირველად ვიხილავთ გოლფსა და შვიდკაცა რაგბის.

**- არსებობს სპორტის ისეთი სახეობა (ან სახეობები), რომელსაც, თქვენი აზრით, ოლიმპიური პროგრამიდან ამოღების რეალური საფრთხე ემუქრება?**

- ეს თემაც გასაანალიზებელია. ნებისმიერ შემთხვევაში, ერთმა სახეობამ უნდა დაკარგოს ადგილი, რათა ახალი გამოჩნდეს პროგრამაში. ეს რთული საკითხი მომავალ წელს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდება.

**- საერთოდ, როგორ წყდება ასეთი საკითხები? რა მთავარ კრიტერიუმებს ითვალისწინებთ ამა თუ იმ სახეობის არჩევის ან პროგრამიდან გარიცხვის დროს?**

- პროგრამა მიმზიდველი რომ იყოს, ბალანსი უნდა დავიცვათ. მასში უნდა იყოს ათლეტური სახეობები - მძლეოსნობა, ძალოსნობა, ცურვა. გარკვეული რაოდენობით აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი გუნდური სახეობები: კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ჰოკეი. არ უნდა დავივიწყოთ ისეთი სახეობები, რომლებსაც ერთი საერთო სახელწოდება აქვს - racket sports: ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი. უნდა იყოს წყლის სახეობები - აკადემიური ნიჩბოსნობა, კანოე, აფროსნობა. მოკლედ, პროგრამაში ყველაფერი უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგრამ არ უნდა მოხდეს ისე, რომ, მაგალითად, გუნდური სახეობები დომინირებდნენ, ან პირიქით, ათლეტური სახეობები. სწორედ ეს არის ბალანსი.

**- გამოდის, რომ მეორეხარისხოვანია ის საკითხი, თუ რამდენად პოპულარულია ესა თუ ის სახეობა?**

- არა, ის პუბლიკის მხრიდან ინტერესსაც უნდა იმსახურებდეს. და უნდა შეესაბამებოდეს ისეთ კრიტერიუმს, როგორიც არის უნივერსალურობა. ანუ მას მთელ მსოფლიოში უნდა მისდევდნენ. ასე რომ, სახეობა, რომელიც ძვირი სიამოვნებაა და მას ადამიანების ვიწრო წრე მისდევს, ოლიმპიურ პროგრამაში არ ჯდება.

**- მომავალ წელს იწურება თქვენი საპრეზიდენტო უფლებამოსილება. როგორ შეაფასებდით თქვენს ძირითად მიღწევებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე?**

- საკუთარ თავზე ლაპარაკი რთულია... მაგრამ შევეცდები. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ ექვსივე ოლიმპიადა, რომლებზეც მე ვიყავი პასუხისმგებელი, წარმატებით ჩატარდა. მონაწილეებს მოეწონათ ეს ოლიმპიადები, ჩვენ კი სწორედ სპორტსმენებისთვის ვაწყობთ თამაშებს. კიდევ ერთი მიღწევაა - იუნიორთა ოლიმპიური თამაშების დაბადება. დარწმუნებული ვარ, რომ მათ ბრწყინვალე პერსპექტივები აქვთ. მესამე მიღწევა - ენერგიულად ვიბრძოდით ოლიმპიური ღირსებების დასაცავად: დიდი ბრძოლა გამოვუცხადეთ დოპინგს, ჩაწყობილ მატჩებს, უკანონო ფსონებს. შევძელით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ფინანსური სტაბილურობის მიღწევა - შემოსავლები დღეს საკმაოდ მაღალია. ამასთან, ამ თანხის 90-92 პროცენტს სპორტის სახეობებზე ვანაწილებთ. ეს ძალიან დიდი ციფრია. დაბოლოს, ოლიმპიური პროგრამის რეფორმაც - ასევე წარმატებაა. თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში გაცილებით მეტი ქალი სპორტსმენი მონაწილეობს ოლიმპიურ თამაშებზე.

**- კონკრეტულად რა ციფრებზეა ლაპარაკი?**

- 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადაზე მონაწილე ქალების წილი 18 პროცენტი იყო, 2000 წელს სიდნეიში - 40 პროცენტზე ნაკლები, ლონდონში კი უკვე 44 პროცენტი.

**- თქვენ ახსენეთ ფინანსური სიტუაცია. ის მართლაც არ იწვევს შეშფოთების საბაბს, თუნდაც დღევანდელი რთული ეკონომიკური პერიოდის დროს?**

- საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ყველაფერი წესრიგში ექნება. ტელევიზიასთან კონტრაქტი 2020 წლამდე გვაქვს გაფორმებული, ეს კი სერიოზული ფულია. სოკ-ის სპონსორული კონტრაქტებიც ამ ვადაზეა გათვლილი. ასე რომ, მომდევნო რვა-ათი წლის განმავლობაში, მშვიდად შეგვიძლია ვიყოთ: სპორტზე თანხები იქნება. ეჭვი არ მეპარება.

**- ცოტა ხნის წინ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გააგრძელა აშშ-ის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან კონტრაქტი, რომელიც სასპონსორო და სატელევიზიო შემოსავლების გადანაწილებას ეხება. ამერიკა დიდი ხანი კოლოსალურ წილს იღებდა - დაახლოებით მეხუთედს. 2020 წლიდან კი ორჯერ ნაკლებს მიიღებს. როგორ დაითანხმეთ ისინი ამგვარ პირობებზე?**

- როგორც ჩანს, ჩვენ კარგად ავუხსენით მათ სიტუაციის საკუთარი ხედვა. დავარწმუნეთ ისინი, რომ ის, რაც კარგია ჩვენთვის, მათთვისაც კარგი იქნება. მოლაპარაკება მაშინ არის შედეგიანი, როცა მიაღწევ იმას, რომ ორივე მხარემ იგრძნოს თავი მოგებულად. ამერიკელები საკუთარ სქემას გვთავაზობდნენ, ჩვენ ჩვენი შევთავაზეთ. საბოლოოდ, კომპრომისი ვიპოვეთ. ყველა ბედნიერია.

**- ლონდონში კარგად იგრძნობოდა, რაოდენ ძვირი სიამოვნება გახდა ოლიმპიადის ჩატარება. პატარა ქვეყნებს არ აქვთ მათი მიღების შანსი?**

- რატომ? ნორვეგიამ ხომ შესანიშნავად ჩაატარა 1994 წელს ლილეჰამერის ზამთრის თამაშები?! ამ ქალაქის მოსახლეობა სულ რაღაც ორი ათასია, ნორვეგიისა - 4 მილიონი. 11-მილიონიანმა საბერძნეთმაც შესანიშნავად გაართვა თავი 2004 წლის თამაშების ორგანიზებას.

**- გამოდის, აბსოლუტურად ყველა ქვეყანას აქვს შანსი გახდეს ოლიმპიადის მასპინძელი?**

- არა. ქვეყნებს ერთი ან ორი მილიონი მოსახლეობით, სავარაუდოდ, არ შეუძლიათ ამის გაკეთება.

**- რა რაოდენობის უნდა იყოს მოსახლეობა?**

- ზამთრის ოლიმპიადისთვის - 4-5 მილიონი ადამიანი, ზაფხულის თამაშებისთვის - მინიმუმ 10 მილიონი.

**- რას ელით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პოსტზე თქვენი მემკვიდრისგან?**

- იგივეს, რასაც ჩემგან ელოდნენ. რომ ხალხი მოტივირებული იყოს ოლიმპიური მოძრაობით. რომ შეინარჩუნოს ერთიანობა სპორტულ ფედერაციებს შორის. საერთოდ, ამ პოსტზე მუშაობა - ეს არის დისკუსიის წარმართვის უნარი. დისკუსიის წარმოება კი მუდმივად გიწევს - ტელევიზიებთან, სპონსორებთან, პოლიტიკოსებთან, რადგან არსებობს არაერთი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ მათ შეუძლიათ. რაც არ უნდა ილაპარაკონ სპორტსა და პოლიტიკას შორის კავშირზე, ის არსებობს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ასევე მან უნდა იბრძოლოს დოპინგისა და კორუფციის წინააღმდეგ. და, რა თქმა უნდა, კონტაქტი უნდა ჰქონდეს ათლეტებთან. სხვანაირად, არაფერი გამოვა.

გია თვალაბეიშვილი



ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608